


თავისუფლება



საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო

სარედაქციო კოლეგია: გიორგი ნოზაძე, მიხეილ ქავთარაძე, გიორგი წერეთელი.

LA TRIBUNE DE LA LIBERTÉ

Organe pour la Libération de la Géorgie

№ 11—12

პარიზი

მაისი 1976

825 / 2
1976

1918



1976

თავისუფლების ტრიბუნა გიორგისათვის ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს

ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ აუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დღის ხსოვნის არ დავიწყებას და ცოდნას თუ რა შესძინა მან ქართველ ხალხს.

117 წლის განმავლობაში საქართველო რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. თუმცა ქართული ეროვნული სული არ ჩამქრალიყო, მაგრამ გარუსების წყვილია დიდი იყო მოცული ქვეყანა და მხოლოდ თავზედ იცნებისათვის შეეფარება თავი საქართველოს სახელმწიფოებრივ აღორძინების შესაძლებლობას. და აი, უცერად, როგორც ჩვევით დიდ მოვლენებს, 1918 წლის 26 მაისს, შეიქმნება შესაძლებლობა, როცა ქართველი ხალხი მთელ მსოფლიოს ამცნობს: დღეიდან ის თვით ხდება ხელმწიფე თავისი ბედის. ეს როდი გახლდათ ლიტონი სიტყვები, არამედ ნამდვილი დასაწყისი ძირითადი გარდაქმნების.

პოლიტიკურ, ეკონომიურ, სოციალურ ღრმა ცვლილებებთან ერთად, 26 მაისის უძვირფასესი მონაპოვარი არის ის რომ:

რუსების მიერ შეურაცხყოფილი ქართული ენა კვლავ გადაიქცა ოფიციალურ სახელმწიფო ენად;

წარმოება, სწავლა, განათლება კვლავ გაქართულდა; დაარსდა ეროვნული კულტურის კადრების სამკედლო — თბილისის უნივერსიტეტი; მეცნიერება და ტექნიკა კვლავ ამეტყველდა რუსთავლის ენაზე.

ქართველ ხალხთა საუკეთესო შვილთა ნატვრა სინამდვილეთ იქცა; უიმედობა გაჰქრა; იმედი აყვავდა.

ყველა ეს სიტყვე, მიუხედავად 58 წლის კირთებისა, მთლად არ გაჰქრალა საქართველოში. გულს უანგი არ მიჰკარება.

კვლავ ყვავის იმედი 26 მაისის სიბოლოზე გახარებული.

შინაარსი

- 8
ქრისტე აღსდგა! დეკანოზი ილია მელია.
- 3
სისხლიანი მარტის ოცი წლისთავი.
- 4
საქართველოს ამბები.
- 5
ოქროს საწმისი.
- 5
ელენე ახვლედიანის გარდაცვალება. გ. ნოზაძე.
- 7
სიმონ პეტლიურა.
- 8
ჩინეთის უკანასკნელი ამბები. გიორგი ქართველი.
- 9
ლეონიდ პლიუშჩი. მ. ქავთარაძე.
- 12
საბჭოთა კავშირის ამბები.
- 14
ერი და კაცობრიობა. გიორგი წერეთელი.
- 16
კო უ ე ს ტ ი ნ" მ. გ.
- 17
საერთაშორისო ქრონიკა.
- 18
კარლო ინსარისის ფილმისმეტყველება. კოლხი.
- 19
თამარ პაპავა გ. ნოზაძე.
- 19
ლევან ზურაბიშვილის წლისთავი. გ. წერეთელი..
- 20
ელისე პატარიძე. მეგობარი.
- 20
შალვა აბდუშელი ლუბა აბდუშელი.
- 22
სამგლოვარო.

რედაქციის მისამართი.
G. TSERETELI
193, RUE DES MARCHAIS
75019 PARIS - Tél. 607-08-14



პასეკი ანუ ქრისტეს აღდგომა მკედრითი არის დღე-სასწაული სულიერი განახლებისა, და ამავე დროს — განთავისუფლებისა. საზოგადოდ, განახლება და განთავისუფლება არის ძირითადი მომენტო ყოველ ადამიანის შინაგან ცხოვრების, რაც რელიგიურ, ან ფილოსოფიურ რწმენასაც უნდა ჰქონდეს. თუ კაცი არ დემონება ათეისტურ მატერიალიზმს, ან თუ არ ცხოვრობს უსრუნიელობაში, რაიცა შეადგენს ფსიქოლოგიურ მატერიალიზმს.

ყოველმა ადამიანმა იცის, რომ მას აქვს შესაძლებლობა გამაისწოროს, არა მარტო სხვადასხვა შეცდომებში, არამედ — საკუთარი თავიც, თავის მეობა. წმიდა ეკლესიის ერთმა არამთავანმა მეთოდურ საუკანეში სთქვა: „უნდა ვიპოვოთ დასაბამებოვან დასაბამებამდის, ახალ დასაბამებინსაყენო“. ეს კი შესაძლებელია, მხოლოდ თუ განვითავისუფლებთ ყველა მონობისაგან, და საზოგადოდ დეტერმინიზმის ძალაობისაგან. დეტერმინიზმი არის სიკვდილის ნიშანი, რამდენადაც იგი უარჰყოფს პირად თავისუფლებას და ქმედობას.

წმიდა ეკლესია გალობს რომ პასეკმა გავივსნა ჩვენ ბეჭენი სამთხისა, ე. ი. კონკრეტულად: მოვცვა იმედი. იესო ქრისტე მოვიდა სოფლად, რათა ჩვენ განვკათავისუფლოს ყოველგვარ უბედურებისაგან; ფაზიურ უძლეურებათა, სწურებათა, სიკვდილისაგანც და — აგრეთვე სხვადასხვა უთანასწორობისაგან: სიკაცულურ, ეროვნულ და რასიულსაგან. ხოლო იოს ქრისტე, ყოველთა ამ უბედურებათა უწინარეს გვანათავისუფლებს მათი ფსევებისაგან, ე. ი. ცოდვებისაგან. უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია მათი მოსპობა შენს გულში, ჩვენი შეგნების სიღრმეში; ამიტომაც ეკლესია მოგვიწოდებს, რათა აღვიართო ცოდვანი, განსაკუთრებით, პასეკის დროს

პასეკი გრძელდება არა მხოლოდ ერთი დღე, ან ერთი კვირა. ბრწყინვალე დღესასწაული გრძელდება ორმოცი დღე და იგი ხელახლა მოდის ყოველ კვირადღეს, მთელი წლის განმავლობაში, და ამგვარად, პასეკის დაპირებანი განახლებისა და განთავისუფლებისა იბეჭდება ჩვენს გონებაში, ცხოვრების ყოველ დარგში.

რა უბედურებაც არ უნდა გვექნებოდეს პირად ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განვახლოთ ჩვენს სულსა და გულში, ბძოილა სულიერი განთავისუფლებისა ბოროტი ძალების წაწმინდამდე სიკეთისათვის, რაც იესო ქრისტემ თავისი საქმითა და ქვაყებით გვაძლავს.

იგია მხსნელი სოფლისა, ის გვანათავისუფლებს ყოველგვარ ბოროტებისაგან, ანუ მოგვანიჭებს ცხოვრების საუკუნოს, ე. ი. — ცხოვრების მუდმივ განახლების შემძლებელს.

დეკანოზი ილია მელია.

20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1956 წლის მარტის პირველ რიცხვებში, საქართველოს დიდ ქალაქებში და განსაკუთრებით თბილისში, ადგილი ჰქონდა მძლავრ მანიფესტაციებს, რომლის დროსაც ასობით ახალგაზრდა ქართველის სისხლი დაიღვარა.


მანიფესტაციების ხასიათი ისეთი მასიური და მძაფრი იყო, რომ რეპრესიებში გამობრძმდილი საბჭოთა პოლიციაც უძლებდა გამომდგა და მხოლოდ სპეციალურად მოყვანილი სამხედრო ნაწილების მხეცური ოპერაციებით გახდა შესაძლებელი მისი დამორჩილება.

ამ ტრაგიკულ ამბებზე უტყუარო ცნობები დღესაც არ გავიგანია, რადგანაც საბჭოთა ხელისუფლება თავის ჩვეულებას არაოღეს არ ლაღატობს; სიმართლეს მალავს და შინაურ თუ საერთაშორისო საზოგადოებას ყალბ ცნობებით აპურებს.

მოულოდნელობით დაბნეულ, ოფიციალურ პირთა მამინდელი განცხადებები ერთიმეორის საწინააღმდეგონი იყვნენ. დემონსტრანტები, თითქოს, მოითხოვდნენ სტალინის კულტის აღდგენას, ხოლო ეს მანიფესტანტები იყვნენ „ხულოცებები“, „ყოველი კულაკები“ და თანმდეობის წინადაც განადურებული პარტიების წევრები, რომლებიც დაბრუნდნენ გადასახლებიდან“ (თბილისის უნივერსიტეტის რექტორ ვიქტორ კუპრაძის განცხადება: 9 მარტის ამბების შემდეგ განთავისუფლებული და თანმდეობიდან). ვისაც საღი აზროვნების ნატამალი გააჩნია, როგორ შეუძლია დაიჯეროს, რომ სტალინის მიერ დასჯილი და განაწამები ხალხი თავს გამოიდებდა მისი ხსოვნის პატივსაცემად? მეორე ამდგომი იგივე ვიქტორ კუპრაძე ამბობს: „სტალინის მოძულე პროპაგანდისაგან და საეჭვო ელემენტებმა წააქეზეს სტუდენტების ეროვნული გრძნობები და მათი მიზნებისათვის გამოიყენეს“-ო.

მაშასადამე, სტალინის კულტი აქ არაფერ შუაში ყოფილა, არამედ სულ სხვა — ეროვნულად.

როგორც ვ. კუპრაძის, ისე ვასილ მყავანაძის და სხვა ოფიციალურ პირთა და ვაჭეთების მიხედვით ცხადია, რომ 5 აპრილს, 1956 წელს, სტალინის გარდაცვალების დღეს, 3 წლის წინ გარდაცვლილი დიქტატორის ხსოვნის სატეოსაცემად, პარტიის ხელმძღვანელების მიერ, ლეგალურად გაიმართა დემონსტრაციები, და თუ პროპაგანდები კი იყვნენ ვინმე, ესენი იყვნენ: ვასილ მყავანაძე და მისი ცენტრალური კომიტეტი. მაგრამ სტალინელები მოტყუდნენ. მანიფესტაციები ჩადაიქცნენ მძლავრ ეროვნულ მიტინგებად და ბოლის აჯანყებადაც. არაოფიციალური, მაგრამ სრულიად სარწმუნო წყაროების მიხედვით, 9 მარტს, აჯანყებულ ახალგაზრდობას ეკავა თბილისის ცენტრალური ნაწილის ქუჩები; ისინი მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, და რომ ეს ამბავი ემცნოთ მსოფლიოსათვის, გასწიეს ფოსტატულე-



რატის შინაგარეობის, სწორედ ამ დროს ჯარმა ავტომატების ცეცხლი გაუხსნა მათ და რომ უკეთ გაეფანტა ტანკებით გასრისა ზოგი მათგანი. თუმცა ამ დღეს დახოცილთა ნამდვილი რაოდენობის გავება შეუძლებელია, მათი რიცხვი, უდავოდ, ასზე მეტი იქნება. აჯანყების დამარცხების შემდეგ, რამოდენიმე ათასი ახალგაზრდა იქნა დაპატიმრებული და გადასახლებული.

თბილისის გამოსვლები, სტალინის სიკვდილის შემდეგ. პირველი იყო, რომელმაც ნიკიტა ხრუშჩოვი აიძულა ლიბერალის ყალბი ნილაბი ჩამოეხადა. სულ მალე ხომ მას მოაკეცა მღელვარება კომუნისტ. გერმანიაში, პოლონეთში, ბოლოს ბუდაპეშტში. ამ ამბებმა გრივად იტყვიან და საბჭოთა საპრობლემას საბრძოლო შეარყიეს, მაგრამ უიარაღოდ და თავის ანაბრად მიტოვებულ ეს ხალხები ცალცაკე, გაწურთნილმა და კბილებამდე შეიარაღებულმა წითელმა არმიებმა დაიმორჩილეს.

მიუხედავად სასტიკი აკრძალვისა, 1956 წლის 9 მარტის მსხვერპლთა საფლავებს დღესაც ყვავილებით როავს უცნობი ადამიანები, ჩვენც ვუერთდებით და პატივისცემით მუხლს ვიდრეკეთ მათი ძვირფასი სამარეების წინაშე.

—[=]—

საქართველოს ამაზი

პოლიტიკური ტერორი საქართველოში.

3 მაისის ვახუტები „ფიგარო“ და „მონდი“ იტყობინებოდნენ, რომ მოსკოვში გაერცლებულ ხმების მიხედვით, რომლებიც დადასტურებულ იქნა დასავლეთელ მოგზაურთა მიერ, აპრილის პირველ ნახევარში, რამოდენიმე დღის განმავლობაში თბილისში ადგილი ჰქონდა ტერორისტულ აქტებს. ბოშის აფეთქების შედეგად დაზინდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს ბინა, ხოლო კრიმინალურ ხანძრების შედეგად თბილისის ცენტრალურმა ბაზარმა და სხვა ადმინისტრაციულმა ნაგებობებმა განიცადეს მნიშვნელოვანი ზარალი.

ქართული ნაციონალისტების მოქმედება თუ კრემლის მიერ მოწყობილი პროვოკაცია? კითხვები, რომლებსაც სვამს ენობის ავტორი, ხოლო მომხდარი ამბები მისთვის ექვს გარეშა.

დავით გარეჯი არტილერის ცეცხლქვეშ.

(ქართულ თვითგამოცემის დოკუმენტებიდან).

თბილისიდან 60 კილომეტრზე მდებარე დავით გარეჯის მონასტერი უძველესი და დიდმნიშვნელოვანი ძეგლია ქრისტიანულ საქართველოში. უკანასკნელ დრომდე მასში შემონახული იყო იშვიათი ფრესკები. 1952 წლიდან ამ ტერიტორიაზე გამართულია საარტილერიო პოლიგონი, და განთქმული მონასტერი საარტილერიო ცეცხლის ცენტრში იმყოფება, რაც უეჭველია მას ენებს. გასულ

წელს ხანძარიც კი გამოუწვევია ტაძრის ახლოს დავით-დნილ ყუმბარას. ამ მდგომარეობით შეწუხებულ ზვიად გამსახურდიას, საპროტესტო წერილით მიმუხმადეს, ამიერი კავკასიის სამხედრო ოლქის უფროს გენერალ-ლეონიკოვისათვის და წერილის ასლი გაუგზავნია საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრ მარშალ გრეგორიანის. ამ წერილის პასუხი მოსულა საქართველოს კულტურის სამინისტროში. გენერალ მელნიკოვის პასუხია: „სამწუხაროდ, მონასტრის ნანგრევები იმყოფება ჩვენი პოლიგონის ცენტრში და ამ პოლიგონის იქიდან გადატანა ჩვენ ვანზახული არა გვაქვს; ჩვენი ნებართვის გარეშე, ტურისტები დაშვებული არ უნდა იქნენ“—ო.


ამ პასუხით სამართლიანად უკმაყოფილო ზ. გამსახურდია მიმართავს საბჭოთა და სასლავარათის საზოგადოებას ხმა აიძალის ასეთი ვანდალიზმის წინააღმდეგ.

ზვიად გამსახურდიას შევიწროება გრძელდება

(ქართულ თვითგამოცემის დოკუმენტებიდან).

17 დეკემბერს, ჩემი იქ არ ყოფნის დროს „ქურდები“ ეწვიენ ჩემს ბინას. „ქურდებს“ არაფერი არ მოუპარავთ, მაგრამ საწერ მავდის უჯრები ვადმოქეცილი იყო. „ქურდები“ ალბათ ეძებდნენ კომპრომენტურ ქაღალდებს. ორი კვირის წინად, „ქურდებმა“ კიდევ ერთი იონი მიყვეს. დაკეტილი მანქანა დავტოვე ფილარმონიის თეატრის ახლოს, რომ დავბრუნდი, ავტომანქანის კარების სახელურები მოსვლილი იყვნენ სითხით, რომელიც საშინლად ყარდა და რომლის მოშორებაც აღარ მოვხერხდა. ჩანს, რომ „ქურდები“ კვლავ მემუქრებიან მოწამულით. (ზ. გამსახურდიამ, გასულ წლის ბოლოს, ბრალი დასდვა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს მისი, მისი ცოლის და ცოლის დის მოწამულის ცდაში). ამას წინათ, პოლიციიდან გამაფრთხილეს „ჩემმა კეთილშურველებმა“ მანქანით აღარ წავსულიყავი ქალაქში, რადგანაც „ქურდებს“ ვანუზახავთ მოპარონ. ხშირი შემდეგ, პოლიციამ ჩამომართვა მანქანის ტარების უფლება, სიმთვრალის მოტივით. სინამდვილეში, არავის არ შეუძლოწმებია ჩემი სიმთვრალე.

ზ. გამსახურდია თხოვნით მიმართავს საქ. უშიშროების კომისიის თავმჯდომარეს ალ. ინაურს, გამოიძიოს ყველა ზემოდ თქმული და დაუბრუნოს ოღონდაც ავტომანქანის მართვის უფლება, რადგანაც მას ფეხით სიარული უძნელდება მისი მოწამულის შემდეგ.



ოპარს საწმისი

ჩვენამდე მოაღწია:

1. ზვიად გამსახურდიას ლექსების წიგნმა, რომელიც შეიცავს 33 ლექსს; შესრულებულია ხელით საბეჭდ მანქანაზე, „თვითგამოცემის“ წესით 1973 წელში, თბილისში.
2. „ოპარს საწმისი“, კრებული № 1, თბილისი, 1975 წ. ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით, ივერე „თვითგამოცემის“ წესით. ამ კრებულის შინაარსია:

კონსტანტინე გამსახურდია, მტრების მეგობრობა. ნოველა.

ბახილ მელიქიშვილი. „გველების ტბა. ლეგენდა.

პოეზია.

ნიკო სამადაშვილი.

შოთა ჩანტლაძე.

გაბრიელ ჯავუშანური.

მერაბ კამარელი.

ზვიად გამსახურდია.

სეზან მარტვილი.

ლეონ ქართველი.

თეიმურაზ ჭანტურიშვილი.

ნუნუ შალვაშვილი.

ფრიდრიხ ჰებელ. — თარგმანი გერმანულიდან.

სორენ კირკეგორ. — თარგმანი ინგლისურიდან.

წერილები.

ივანე ჯავახიშვილი. მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები.

ნოდარ წულუღისკირი. ნუ დაივიწყებთ მშობლიურ ენას!

— : —

ალავერდობის ცეცხლი.

(გურამ რჩეულიშვილის 40 წლისთავი).

ზვიად გამსახურდია; გურამ რჩეულიშვილის მისთვის. წერილი.

მერაბ კოსტავა; გურამ რჩეულიშვილი.

ვ. რ. გურამ რჩეულიშვილი.

როგორც თვით შინაარსიდან ჩანს, ეს კრებული ნაირ-ნაირ მასალებისაგან შესდგება. თვითელი მათგანი თავისებურად საინტერესოა. საერთოდ, კრებულს დამოუკიდებელი შემოქმედის მადლი ბუყვია. იგი სრულიადც არ არის ანტი-საბჭოური, მაგრამ იმავე ხასიათის ოფიციალურ საბჭოთა საქართველოს გამოცემების განსხვავებით, ის არის თვითმყოფადი. თუ შევიძელით სასურველი იქნება ამ კრებულის აქ გამოცემა.

— : —

სიმონ ყაუხჩიშვილის 80 წლისთავი.

გასული წლის დეკემბერში, 80 წელი შეუსრულდა აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილს.

სიმონ ყაუხჩიშვილი იყო სახელოვანი მოწაფე ივანე ჯავახიშვილისა და შემდეგ მისი თანამშრომელი. მან საფუძვლი ჩაუყარა საქართველოში კლასიკურ ფილოსოფიას და ბიზანტოლოგიას. მსოფლიო მეცნიერი კვლავ ნაყოფიერ მოღვაწეობას განაგრძობს.

† ელენე ახვლედიანის გარდაცვალება.

მეტად სამწუხარო ცნობა მოვიდა სამშობლოდან. გარდაიცვალა 75 წლის ასაკში ქართველი დიდი მხატვარი ქალი ელენე ახვლედიანი.

პარიზში მცხოვრებ ქართველებს კარგად ახსოვთ ტანწერწემა, სახით მშვენიერი, ხასიათით მზიარული ახალგაზრდა ქართველი ქალი ელენე ახვლედიანი, რომელიც იტალიიდან პარიზს ეწვია 1924 წელს, სამი წელი დაჰყო პარიზში და ეს წლები დაუცხრომელ შრომაში გაატარა. იღებდა სამხატვრო განათლებას, ეცნობოდა პარიზის არტისტულ ცხოვრებას. მოაწყო რამოდენიმე გამოფენა თავის მხატვრობისა, რომელმაც პარიზის მხატვრული საზოგადოების და კრიტიკის ყურადღება მიიპყრო. თემა მისი მხატვრობისა იყო: პარიზის სიუჟეტები. და ფანტაზიით შექმნილი ქართული პეიზაჟები. აქ შევლავნებდა მისი დიდი ნიჭი კომპოზიციის და ფერების გადმოცემაში.

1927 წელს სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება მხატვრულ შემოქმედებაში და ახალგაზრდობის აღზარდის საქმეში.

ქეშარიტად დიდი დანაკლისია მისი დაკარგვა ქართულ ხელოვნებისათვის და საზოგადოდ ქართულ კულტურისათვის.

17 დეკემბერს, თბილისში შეიკრიბა საქარ. ს. ს. რესპ. უმაღლესი საბჭოს „სესია“. სამუშაო წესის დამტკიცების შემდეგ სიტყვა ითხოვა დეპუტატმა, საქრთ. კომპარტიის პირველმა მდივანმა, ედუარდ შევარდნაძემ. მან კრებას მოახსენა რომ: „ამხანაგი გ. დ. ჯავახიშვილი ითხოვს განათავისუფლონ იგი საქ. სსრ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან, პენსიაში გასვლასთან დაკავშირებით“. კრებამ ერთხმად დადასტურა შევარდნაძის „შუამდგომლობა“. ამის შემდეგ სიტყვას აძლევდნ დეპუტატ გივი ჯავახიშვილს. ის მაღლობას იხდის, რომ აძლევს წლის განმავლობაში, მინდობილი ჰქონდა რესპუბლიკის მთავრობის მეთაურობა. ამის შემდეგ, კვლავ სიტყვას ლეზულობს დეპუტატი ედ. შევარდნაძე და განთავისუფლებულ თანამდებობაზე კანდიდატთა ასახელებებს ზურამ ალექსანდრეს ძე პატარიძეს, კრება ერთხმად ლეზულობს შევარდნაძის ამ წინადადებასაც.

ათი წუთიც არ დაჭირვებია, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის „პენსიაში“ გაწეობას და ახალი თავმჯდომარის არჩევას; ასეთია „მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა დემოკრატია“.

არა, მკითხველებს არ ეგონათ, ჩვენ ისე გულუბრუნელო ვიყოთ არ ვიცოდეთ, რომ გ. ჯავახიშვილის მოხსენას ათი წუთი არა სამი წელი დაჭირდა, კულისებში. დღიანად ვ. მკავანაძის მოხსენისა და საქართველოს პირველ მდივანად ედ. შევარდნაძის დაყენებისა, გ. ჯავახიშვილის ბედი გადაწყვეტილი იყო. ალბათ გ. ჯავახიშვილის მოხსენას მრავალი მისი ხელკვეთით შეეწირა და ბევრმა მათგანმა გაიარა თბილისის, სამწუხაროდ მსოფლიოში სახელგათქმული იზოლიატორი, მათი პატრონის საწინააღმდეგო ჩვენებების მისაცემად. ჩვენ ამით მხოლოდ ის გვიან ვთქვით, რომ ყველაფერა ეს მოხდა შევარდნაძე - კოლბინის კომინაციებით; ბრუქენის და მისი პოლიტიკოსის ბრძანებით და რომ ქართველი ხალხის და მისი მოჩვენებითი წარმომადგენლების, საქ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატების წინაშე მხოლოდ ათი წუთი დაჭირდათ წარმოდგენის გასათამაშებლად.

გივი დიმიტრის ძე ჯავახიშვილი აგერ 22 წელია რაც საქართველოს ე. წ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა. ამ ხნის განმავლობაში ის ერთგულად ემსახურებოდა კრემლის ბატონებს (და არა ქართველ ხალხს), მაგრამ როგორც ჩანს არ დაუფასეს. ჩვენ მისი წასვლისათვის ცრემლებს არ დავდვით, მაგრამ შევარდნაძე - კოლბინის მიერ დაყენებული პატარიძე, რომ კიდევ უფრო მეტი მონა იქნება კრემლის ბატონების, აი ეს კი გვაწუხებს და გვადარბებს.

22 დეკემბერს, თბილისში დაიდგა მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“. ლიბრეტო ქართულად თარგმნა გერმანისტმა ნელი ამაშუკელმა. სოლისტები და მსახიობები იყვნენ ქართველები, ხოლო დადგმა განახორციელეს დასავლეთ გერმანიის თეატრებმა: დიორიომა ზიგფრიდ კიოლოერ, რეჟისორმა პერმან ვედელინდმა, დეკორატორმა ლომი ხანმა, მხატვარ განათლებულმა პერმან ვოლშიდტმა, მხატვარ-კოსტუმერმა ფრიდლ ტოევე და ტექნიკურმა ხელმძღვანელმა ფრანკ ვაისპერბერმა.

ამავე ხელოვნებმა თბილისის ოპერის სცენაზე უკვე დადგეს ვაგნერის ოპერა „ლონგინი“.

— : —

ნონა გაფრინდაშვილი ხუთჯგის მსოფლიო ჩემპიონი

როგორც თ. ტრიბუნის მე-9 ნომერში ვიუწყებოდით, გაულ წლის ოქტომბერ-ნოემბერში, საქართველოში გაიმართა ქალთა შორის მსოფლიო პირველობის ჩემპიონატი ქალრაკში. ნონა გაფრინდაშვილი თუ ნანა ალექსანდრია? ასეთი იყო სათაური ჩვენი მაშინდელი წერილის,

ამჟამად აღარავითარი კითხვის ნიშანი აღარ შეიძლება არსებობდეს: ნონა გაფრინდაშვილია დამაჯერებლად გაიმარჯვა (8,5:3,5) და მხუთეჯგერ დაეუფლა ქალრაკის მსოფლიო დადოლის გვირგვინს.

თქმა არ უნდა, საქართველოსათვის დიდი პატივია ერთდამავე დროს ჰყავდეს ორი მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალი. მაგრამ ეტყობა ქართველი ქალების ამბიციები ამითაც არ კმაყოფილება და არა ერთი სრულიად ახლავრდა გოგონა, (13-14-15 წლის), წარმატებით ასპარეზობს, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის გარეთაც, მავალიად საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, რომელიც ახლახან ჩატარდა თბილისში, 7 ქართველი გოგონა მონაწილეობდა (კობახიძე, წერეთელი, კახაბრიშვილი, გურიელი, ჩიხურდანიძე, იოსელიანი და ხუგაშვილი), რაც თავისთავად მოწმობს ქართველ მოჭადრაკე ქალთა დიდ წარმატებას. თავისუფლების ტრიბუნა სიამაყით ესალმება ამ ფაქტს. მომავალშიაც უსურვებს წარმატებას მოჭადრაკე ქართველ ქალებს, მაგრამ ამ წარმატებებმა არ დაევიწყოს, რომ მათი უპირველესი და უსაამაყესი პოეზიოობა მამულს ბევრი და კარგი შვილები გამოუზარდონ.

ამ მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით ერთ მეტად უსიამოვნო ამბავზედაც მინდა შეაჩერო მკითხველის ყურადღება.

20 ნოემბრის ზაზეთ „კომუნისტში“, გამოქვეყნებულია მატჩის მიმდინარეობის სურათი. ამ სურათზე თვით ქალ-

რაკის პროტაგონისტების გარდა მოჩანს დადები, სეკუნდანტები, მსაჯი და რაც მთავარია სცენის უთავგულში ფარდაზე დიდი რუსული ასოებით წარწერა: „მატჩ ნა პერვენსტო მირა პო შახმატამ“. ქართული წარწერა, არც დიდი, არც პატარა ასობით არსად არ ჩანს.

ეს არის უბატებივლი დანაშაული ამ შეჯიბრების მომწყობ პართავან და მათ სათანადო პასუხით უნდა მოეთხოვოს, თუ საქართველოს კიდევ გააჩნია ელემენტარული ეროვნული უფლებები. ეს შემთხვევა მით უფრო ხაზგასმულია, რომ ამ უკანასკნელ ხანში, საქართველოდან მისულ ყურნალ-განათებში ნაჩვენებ, ოციციალურ მიტინგებზე და მანიფესტაციებზე, სულ მუდამ რუსული პლაკატები მოჩანს და იშვიათად ქართული.

თეიმურაზ ჯვარშიშვილის ცუდად გათავებული რომანი.

(ქართულ თვითგამოცემის დოკუმენტებიდან).

თეიმ. ჯვარშიშვილის სახელი ჩვენ გაევიგეთ როცა საქართველოდან თვითგამოცემის გზით მივიღეთ საქარ. მართმდიდებელ ეკლესიის საპატრიარქოს უწყსოებთან შესახებ დოკუმენტები. ისტორიკოს თეიმურაზ ჯვარშიშვილი იქ ჩანდა, როგორც ამ საქმის მოწმე და აქტიური სიმართლის მაძიებელი. როგორც ეტყობა მისი დანიტორიკული სახელმწიფო უშიშროების ორგანოები. თვით ჯვარშიშვილსაც ეს შეუნიშნავს, თბილისში ბინა დაუტოვებია და დროებით სოხუმში შეუფარებია თავი. მაგრამ ყოვლისშინაველ პოლიციის თვალს იქაც შეუნიშნავს. ერთ მშვენიერ დღეს, შავი ზღვის პლაჟზე, „შემთხვევით“ გაუცენია ერთი ქერა მზეთუნახავი ქალაქ ვილნიუსიდან. ახალგაზრდები ერთმანეთის ეშხით მოხიბლულან და ღამის გასათვდა ვაჟთან წასულან. ეს ღამე სიყვარულის ნეტარებაში გაუტარებიათ, მაგრამ დილით, ვაჟს ყველაფერი წამწარებია, რადგანაც ვედრა სიმონიტემ (ასე ერქვა ვილნიუსელ ქალიშვილს) თეიმურაზ ჯვარშიშვილს სკანდალი მოუწყო; ბრალი დასდვა მას ძალადობით ნამუსის ახლაში. გედრა თურმე სრულწლოწილი არ იყო. თეიმურაზ ჯვარშიშვილი სოხუმში გაასამართლეს და 4 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

ამჟამად, თეიმურაზი უცდის, რომ მისი საქმე გააჩიოს ხელმეორედ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ, თანაც ფიქრობს თუ როგორ დაემართა ყველაფერი ეს. ძნელი არ არის აღმოაჩინოს, რომ თვითონაც და ვედრაც სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მსხვერპლნი არიან. მაგრამ შეძლებს ის ამის დამტკიცებას?

1926 წლის აპრილში, პარიზში, მოკლულ იქნა, დენილობაში მყოფი, დამოუკიდებელ უკრაინის უმაღლესი ატამანი სიმონ პეტლიურა.

უკრაინის ხალხის დიდ პატრიოტს, სიმონ პეტლიურას დიდი დეაწლი მიუძღვის უკრაინის სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვებაში, რომლის მთავრობის თავმჯდომარეც ის იყო სიკვდილამდე. სიკვდილის შემდეგ მისი სახელი სიმბოლოდ გახდა უკრაინის დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლისა. წელს, ევროპაში თუ ამერიკაში გადმოხვეწილმა უკრაინელებმა დიდი მხურვალეობით აღნიშნეს სიმონ პეტლიურას ტრალიკული დაღუპვის 50 წლისთავი.

საქართველოს და უკრაინის ბედი მრავალგვარად ერთმეორის მსგავსია და ოდითგან ჩვენ ორ ერს შორის განსაკუთრებული სიმპატია და სოლიდარობა არსებობს, რომელიც თანდათან მხარდამხარ მებრძოლთა ანკარა მეგობრობად ვლინდება.

ფექრობთ მთელი ქართველობის გულისთქმას გამოხატავთ თუ ვიტყვით, რომ ჩვენც ვიზიარებთ უკრაინელთა გლოვას მათი ღირსეული შვილის ტრალიკული ბედისათვის და ღრმად გვწამს, რომ სიმონ პეტლიურას საქმე — უკრაინის დამოუკიდებლობა — გამარჯვებს.

—[=]—

პარიზის სათმისტომოს საპროტოკოლა

ამა წლის 4 აპრილს, „მუხეე სოციალ“-ის დარბაზში შესდგა პარიზის ქართულ სათვისტომოს საჯარო კრება. დღის წესრიგში იდგა, სათვისტომოს თავმჯდომარის და გამგებლის არჩენები.

კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გარდაცვლილი თავმჯდომარის ლევან ზურაბაშვილის ხსენებას, რის შემდეგაც, გამგებობის ანგარიშის და სარევიზო კომისიის მოსმენის და მიღების შემდეგ სათვისტომოს გამგებობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბატონი ვიქტორ ხომერიკი. წევრებად: ქ-ნი ქეთევან დადიანი, ქ-ნი ნელი მდივანი-ვოდისი, ქ-ნი ზეინაზ ზურაბიშვილი, ბ-ნი გია სარჯველაძე, ბ-ნი გივი ბეგიაშვილი და ბ-ნი ივ. ციციშვილი.

მიმდინარე წლის თებერვალ-მარტ-აპრილში მსოფლიოს ყურადღება მიიპყრა მოს ჩინეთის უჩვეულო ამბავმა. „კულტურული რევოლუციის“ დროიდან ათი წლია შემდეგ, ჯერ პეკინის, და შემდეგ ჩინეთის პროვინციების დიდ ქალაქებში, კვლავ გამოჩნდნენ კედლის ვახუთები, რომლებიც ამხილებენ ხელისუფლების მაღალ თანამდებობის პირებს, რომლებიც ვითომც შენიღბული მტრები არიან ჩინეთის რევოლუციის და რომელთაც სურთ ჩინეთში აღადგინონ ბურჟუაზიის დიქტატურა. კედლის ვახუთებს, შემდეგ, კომუნისტური პარტიის ოფიციალური ვახუთი „ყოველდღიურიც“ გამოეხმურა, რომელიც ასევე ანონიმურ პირებს ბრალს ედება ჩინეთის რევოლუციის ტლღაში და მემარჯვენე ბურჟუაზიულ-რეაქციულ ზრახვებში. თავიდან ცხადი არ იყო ვის წინააღმდეგ იყო ვახუთებული მთელი ეს კამპანია, მაგრამ თითქმის ყველა სააგენტო დარწმუნებული იყო, რომ უპირველესად ეს შეეხებოდა ტენგ ჰსიაო პინგს. ტენგ ჰსიაო პინგი, რომელიც შერასხლდა და ჩამოქვეითებული იყო „კულტურულ რევოლუციის“ შემდეგ, ყველასათვის მოულოდნელად, გასულ წელს დაინიშნა: ჩინეთის კომპარტიის თავმჯდომარის მოადგილე, პრემიერ მინისტრის მოადგილე, და სამხედრო შტაბის უფროსად. ამ თანამდებობაზე მყოფმა კიდევაც იმოგზაურა დასავლეთ ევროპაში. ტენგ ჰსიაო პინგი, ცხადია, სარგებლობდა შუ ან ლეს მფარველობით. მაო ცე ლენის ღრმა მოხუცებულობის, შუ ან ლეს მძიმე ავადმყოფობის და შემდეგ ვარდაცვალებისა, უცხოელი პოლიტიკური მეთაულებრივები ფიქრობდნენ, რომ ჩინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ბედობალი ტენგ ჰსიაო პინგის ხელში გადავიდოდა. მაგრამ ტენგ ჰსიაო პინგის წინააღმდეგ ატეხილი კამპანია ის ვარაუდს აქარსებდა. შუან ლეს სიყვედილის შემდეგ (ა/წ მიანვარი), ტენგ ჰსიაო პინგის მაგივრად პრემიერ მინისტრის თანამდებობაზე დროებით დაინიშნა უცხოეთისათვის სრულიად უცნობი ჰუა კუ ფანი. ცხადი იყო, პარტიის უმაღლეს წრეებში დიდი უთანხმოება და დუღილი სუფევდა. თვით მაო ცე ლენიც ჩაერია ბოლოს დავაში. ის ასახუთებდა პროლეტარიატის დიქტატურის და პერმანენტული რევოლუციის საჭიროებას, მოითხოვდა რევიზიონისტებისაგან და მემარჯვენე ელემენტებისაგან პარტიის და სახელმწიფოს მართველ ორგანოების გაწმენდის საჭიროებას. ბოლოს და ბოლოს ეს დუღილი პარტიის შიგნით აღარ დაეტია და ქუჩაშიც გადმოხეთქა.

6 აპრილს, მხოფლიო სააგენტოები იტყობინებოდნენ, რომ პეკინის ცენტრალურ მოედანზე ადგილი ქონდა ჩინეთისათვის უჩვეულო ამბავს: მანიფესტაციებს, მიტინგებს, უწყობრივობას. მანიფესტანტები მოითხოვდნენ შუ

ან ლეს ხსოვნის პატივისცემას, მისი ანდერძის შენეულებას და მათ დასჯას, ვინც შეურაცხყო შუს სიკვნი. მანიფესტანტებმა ცეცხლი წაუთქვეს და მანიფესტაციებისაგან, ჩამატვირის ვიტრინები, ცემეს უცხოელებს, და დამტვირის ფოტო-აპარატები, რომ დაეშალათ მათთვის სურათების გადაღება და სხვა. პოლიციამ და ჯარმა ბოლოს გაფანტა მანიფესტანტები, ისე რომ იარაღი არ უხმარათ.

მანიფესტაციების მიზეზი ვახდა ის ამბავი, რომ წინა დღით, მკვრების დღეს, მრავალიცხოვანმა თავყანის-მცემლებმა, გვირგვინებით შეამკო შუ ან ლეს საფლავი. გვირგვინებზე წარწერები თავისთავად ბევრს მეტყველნი იყვნენ: „ჩვენ ეთბრძობეთ სისხლის უყანასკნელ წვეთამ. დე შუ ან ლეს და მისი მემკვიდრეებისათვის“; „ხანგრძლივი სიცოცხლე პრეზიდენტ მაოს, სიკვდილი ინდირა განდის და ქვირე იმპერატორსა“. (მაოს მეთულები); „შუე შუ ჩაეიდა, შვიი ღრუბლები ამოდიან პიროვნისტე“, და სხვა. დამით ეს გვირგვინები ვილაციებმა გააქრეს, და მეორე დღეს, როცა შუს პატივისცემლებმა ეს შენიშნეს, ამის გამო მოხდა მულეგარება და მანიფესტაციები. ორი დღის შემდეგ, პეკინში და ჩინეთის სხვა დიდ ქალაქებში გაიმართა გრანდიოზული, მაგრამ წესრიგისანი კონტრ-მანიფესტაციები, რომლებიც გამოდნენ წინა მანიფესტაციებს, მათ პროვოკაციულ ხასიათს და მოითხოვდნენ მათი მოწყობლების და გამალებლების პოსტებიდან გადაყენებას და დასჯას.

ხელისუფლებამ პასუხი არ დაავიანა და მეორე დღესვე გამოცხადდა ცენტრალური კომიტეტის დადგენილება: ტენგ ჰსიაო პინგის ყველა მის თანამდებობიდან განთავისუფლების, და პრემიერ მინისტრის დანამდებობაზე ჰუა კუა ფანის საბოლოოდ დამტკიცების შესახებ.

ამის შემდეგ, შორიდან თითქმის შუივიდობა სუფევს, მაგრამ ჩინეთის საქმეების სერიოზული თვალყურის მგდებლები ფიქრობენ, რომ საბოლოოდ მოგვარებული არაფერი არ არის და, რომ მაო ცე ლენის მემკვიდრეობისათვის ბრძოლა შესაძლებელია კვლავ თავი იჩინოს ახლო მომავალში. ის ფაქტი, რომ ოპოზიციამ შესძლო ასეთი მასიური მანიფესტაციების მოხდნა, მოწმობს თავისთავად, რომ ის ძლიერია და რომ მაო და მისი ახლობელი წრე სინდლებს განიცდის მართვის საქმეებში.

ნამდვილი ბუნების უციოდინარობის გამო და მკითხველთათვის გადავილების მიზნით, თავისუფალმა პრესამ ჩინეთის კომპარტიის შიგნით მომქმედი ძალები მონათლეს: „ზომიერებად“ და „რადიკალებად“. „ზომიერების“ ქვემო იგულისმებოდა ტენგ ჰსიაო პინგი და ყველა ის ვინც მოითხოვდა შუ ან ლეს ხსოვნის პატივისცემას და მის მიერ დატოვებულ ანდერძის განხორციელებას. ხოლო „რადიკალებად“ მაო და მისი ახლობელი წრე, რომელთა შორისაც უღანისშენავა მაო ცე ლენის ახალგაზრდა მეთულები შიანგ შინგი, რომელმაც აქტიური როლი ითამაშა

„კულტურულ რევოლუციის“ დროს და რომელიც, როგორც ჩანს მიზანში ყავს ამოყვანილი ოპოზიციის.

მწელია, და იქნებ სინამდვილეს არ შეეფერებოდეს ჩინეთის კომპარტიის შიგნით არსებულ ანტაგონისტურ მიმდინარეობებს ასეთი იარაღიყები მიეყარათ.

ცხადია ჩინეთის კომპარტიის შიგნით არსებობს მისი პოლიტიკის მოწინააღმდეგეები. ისინი აშკარად მისი ავტორიტეტს წინააღმდეგ გამოსვლას ვერ ზედავენ, ამიტომ მოქმედებენ შენიღბულად.

არავინ უცხოეთში ნამდვილად არ იცის რა უნდათ ამ ოპოზიციონერებს; განსაკუთრებით სავარაუდო პოლიტიკაში. ცხადია საბჭოებს ყავთ ჩინეთში მისი სისტემის მომხრეები და თავყანისცემლები; საბჭოების მიერ გაჩაღებული კამპანია მათს და მისი „კლიკის“ წინააღმდეგ და ოპოზიციის წაქეზება მრავლის მეტყველია. ნუ დავივიწყებთ, რომ აწ გაზრდაცვლილი შუ ან ლეე მასემა ინტერნაციონალის თავლაში იყო გახდენილი. მაშინ როდესაც მათ ცე დუნი, მიუხედავდ უკიდურესი მემარცხენე ფრახელოგიისა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საბჭოთა კავშირთან გამართულ პლანეტარულ ზრძოლაში მემარცხენე ოპოზიციების შენარჩუნების ზრუნევი, თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ფიზიკურად არ ანადგურებს, არამედ ყოველ დიდმნიშვნელოვან შემობრუნებებს ანხორცილებს სტუდენტების, ახალგაზრდების და საერთოდ, მასების მოძრაობაში მოყვანი. ასე იყო რაც მან კრემლის ბატონობა უარყო... „წინ გაყარდის“ პერიოდში, „კულტურულ რევოლუციის“ დროს და ასეა დღესაც, შუ ან ლე — ტენგ ჰსიაო პინგის მომხრეების საქმეში.

ასეთ პირობებში, „ზომიერად“ და „რადიკალბად“ მათი მონათვლა, შეიძლება, სინამდვილეს არ შეეფერებოდეს, როგორც ეს უკვე აღვნიშნე, ხოლო შეცდომა საბედისწერო გამოადგეს დემოკრატიისათვის.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია თავისუფალ სამყაროს ინფომაციის მოწინააღმდეგე. ის ვინც საბჭო, კავ. მხარეზეა, საბჭოთა პროპაგანდა ნათლავს „ზომიერად“, „პროგრესისობად“, „პატრიოტად“, „დემოკრატად“, — მოწინააღმდეგეებს „რადიკალბად“, „რეაქციონერებად“, „რასისტებად“ და „ფაშისტებად“. თავისუფალი სამყაროს საინფორმაციო ორგანოები ამ ტერმინებს და ეპიტეტებს უცვლილად იყივე პირებზე; იგივე ჯგუფებზე და იგივე რეაქციებზე იმეორებენ. მაგალითები უამრავია და თითქმის ყოველდღიური. ამრავად, საბჭოთა კავშირის მიერ ძალმომრეობით შექმნილი კომუნისტური რეჟიმები, „სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკებია“, ლიბანის მუსულმანები და პალესტინელები „პროგრესისტებია“, ხოლო ქრისტიანები „კონსერვატორები“ და „რეაქციონერები“ არიან. ვიეტნამში კომუნისტები, ჩრდილოეთის და სამხრეთის „პატრიოტები და თავისუფლებისათვის მებრძოლები“ იყვნენ, ხოლო მათი მოწინააღმდეგეები, ნგო დინ დინი-

დან მოყოლებული გენერალ თომდემ, „გამყიდველი რეაქციონერები“ და უსაშველო „ტირანები“.

საბჭოთა პროპაგანდას დიხაც აქვს ინტერესი კულტურ ტერმინების და ეპიტეტების აღრეყნის-მისყვებისა სარგებლად შვი თერთად გაასალოს და მით გულშეყვილი მასები გააბარეყვოს, მაგრამ ნუ თუ თავისუფალ ქვეყნების მესვეურებს ამის მვენე გავლენა არ ესმით და თუ ესმით, მაშინ რად არ ცდილობენ სიტყვებს თავიანთი სწორი მნიშვნელობა დაუბრუნონ?

გ. ქაროველი.

ლეონიდ პლიუზის გადმოსახლება

ჩვენი მკითხველები უკვე იცნობენ ლეონიდ პლიუზის და მის მდგომარეობას. ეს უქრინელი მათემატიკოსი იყო საბჭოთა კავშირის „ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის“ წევრი, და როგორც ასეთი, ცდილობდა ემხილება საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მიერ ამ უფლებების უხეშად დარღვევის ფაქტები. ამისთვის ის დააპატიმრეს და ვინაიდან დანაშაული ვერ აღიარებოდა, გამოაცხადეს გონებრივად დაავადებულად და მოათავსეს ქ. დნეპროპეტროვსკის „ფსიხუფიკაში“ (ასე უწოდებენ პოლიტიკური პატიმრები სპეციალურ ფსიხიატრულ საავადმყოფოს), სადაც ის იმყოფებოდა ავერ სამი წლის განმავლობაში.

ამ „ფსიხუფიკაში“ სრულად განსაკუთრებული „მკურნალობა“ წარმოებდა, რომლის დანიშნულებაც არის გონების თანდათანობით დაჩლუნვება. ლეონიდ პლიუზის შემთხვევაში ამ „მკურნალობამ“ უკიდურესი ხასიათი მიიღო და ის იყო სრული ფიზიკური და გონებრივი განადგურების წინ. დასავლეთის აბათია შეარყია ამ ბარბაროულმა ამავემ და გაისმა პროტესტების ხმები სხვადასხვა ქვეყნებში.

როგორც თ. ტ. №9-ში ვიკოხონებოდით, პარიზში, მეტუალიტეს დარბაზში გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგი. საფრანგეთის კომუნისტური პარტიაც კი, იძულებული იყო ამ საყოველთაო აღშფოთებისათვის დაეყოფინა გაყენა და მოითხოვა ლეონიდ პლიუზის ანუკონებლივ განთავისუფლება. და აი, ალბათ ამ პროტესტების გავლენით, საბჭოთა ხელისუფლებამ განთავისუფლების მაგიერად ის დასავლეთში გადმოსახლა.

შაბათს, 11 იანვარს დილით, პლიუზი ოჯახით, (ცოლი და ორი ბიჭი) ავსტრიაში ჩამოვიდა, საფრანგებმა მათ შესთავაზა დროებითი თავშესაფარი და მეორე დღეს სალამოს, ისინი უკვე ორლის ჰაეროდრომზე ჩამოფრინდნენ. ლეონიდ პლიუზი იყო სრულად გაფთობებული,

ძალ-ღონე გამოკლილი. მან ვერ შეძლო უფრანოსტებთან შეხვედრა და საუბარი. მისმა მეტელურ ტატიანა ყიტნიკოვამ, რომელმაც თავისი გამძლეობით და თავდადებით დიდი როლი ითამაშა ქმრის განთავისუფლების საქმეში, უფრანოსტებს განუცხადა:

„ჩემ ქმარს თავის მოვალეობად მიანიია დაწერილებით მიუთხოროს, რაც ემს ვადაცა და საბუთების ფსიხიატრულ საავადმყოფოებში, როგორც კი ის უკეთ ვახდობა. ამჟამად კი ის არის სრულიად არაქათ გამოლეული“.

პერლორომიდან ლეონიდ პლიუშჩი პირდაპირ წაიყვანეს პარიზის ერთერთ კლინიკაში. საქმიო დასკვნის მიხედვით პლიუშჩი დაავადებულია ძეკლის ტუბერკულოზით. „ნეროლეპტიკის“ (წამალი თუ საწამლაი, რომლითაც მას მკურნალდებენ „ფსიხუშკაში“) ყოველი დოზა ურმა მიღებამ შეარყია მისი ნერვოული სისტემა. მისი გამოჯანსაღების შესახებ სპეციალისტებში არის განსხვავებული შეხედულებები. ერთნი ფიქრობენ, რომ ის ნელ-ნელა სრულიად გამოჯანსაღდება, ხოლო სხვთა აზრით, საუკეთესოა, რომ ის სრულიად განთავისუფლდეს მიყენებულ ზონისაგან.

ამჟამად ლეონიდ პლიუშჩი თავის ოჯახთან ერთად სტუმრად არის საფრანგეთის ერთ მეცნიერთან, ქ. მონტეროში, (სენისა და მარნის დეპარტამენტი), მას პატრონობს საფრანგეთის ეროვნული განათლების უწყება და ფიქრობენ, რომ გამოჯანსაღების შემდეგ ის გამოყენებული იქნება როგორც მასწავლებელი.

ლეონიდ პლიუშჩის პრეს-კონფერენცია

ა/წ 3 თებერვალს, პარიზში, მეტუალიტეს დარბაზში გამართა ლ. პლიუშჩის პირველი შეხვედრა პრესის წარმომადგენლებთან.

ლ. პლიუშჩი ვაკილებით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე საფრანგეთში ჩამოსვლის დროს, ხშირად ეწეოდა პაპიროსს, ეტყობოდა შინაგანი მღელვარება (თავისუფალი სამყაროს კორესპონდენტების და ფოტორეპორტაჟების იერიშები ხომ ასე უტეო იყო მისთვის), მაგრამ ვარგენტულად სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. თავდაპირველად მან მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო მის განთავისუფლების საქმეში, მათ შორის საფრანგეთის და იტალიის კომუნისტურ პარტიებს, შემდეგ მოვიხიბრო მის მიერ განცხადი და ნახულები, რომელიც იძულებული ვართ მოვიკნინოთ შემოკლებით.

მე ვარ 37 წლის. ეროვნებით უკრაინელი. დავამთავრე კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესიით — მათემატიკოსი. 1968 წლამდე ვმსახურობდი საბჭოთა კავშირის აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში. ოფიციალურად დამითხოვეს კადრების შემოკლების გამო. სინამდვილეში წერტილისათვის, რომელიც მე გაუფხავნე გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ კინზბურგუალანსკოის საქმეზე. შემდეგ ველარავითარი სამსახური ვეღარ

ავიშინე. 1972 წელს აღმოჩენილი ციხეში და შემდეგ ფსიხიატრიულ საავადმყოფოში, რადგანაც „სამიზნატში“ იწერედი წეროლებს საბჭოთა ხელისუფლებამ, შეწყობაზე, იდეოლოგიაზე და ნაციონალურ საკითხებზე.

მე ვარ მარქსისტი და ყველა საკითხებს ემიხილავდი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების თვალსაზრისით. მე ვამტყობებდი რომ სტალინიზმი არის ოქტომბრის რევოლუციის თერმოდორული ბონაპარტისტური განვითარება. რომ საბჭოთა კავშირში სახელმწიფო კაპიტალიზმი იქნა განხორციელებული, რომ საკუთრება არა ხალხს ეკუთვნის არამედ სახელმწიფოს, რომელიც მოწყვეტილია ყველა კლასს, რომ ბიუროკრატიაში არის სახელმწიფოს სამსახურში და რომ ნაციონალურ საკითხში საბჭოთა კავშირი ავრძელებს მევის რუსეთის პოლიტიკას. მე ვთვლიდი რომ ს. ს. ს. კ-ში რევოლუციით იყო შეუძლებელი და არც სასურველი იყო. საჭირო იყო მაღილები თანდათანობით დემოკრატიზაცია რეფორმების საშუალებით და ხალხში სთანადო პროპაგანდით. ვინაიდან მინდოდა თავად მონაწილეობის მიღება ამ დემოკრატიზაციის საქმეში, დავიწყე ვაგრძელება თვითავადმყოფების. ვაგროვებდი ცნობებს ამ გამომცემლობებისათვის, რომლებიც ვხვებოდნენ ადამიანის უფლებებს.

1969 წლიდან ვაგნდი წყვირი საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებათა დაცვის საინტეგრირი ჯგუფის, რომელიც ლეგალურად პროტესტს აცხადებდა საბჭოთა კონსტიტუციის და ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაციის დარღვევების გამო.

15 იანვარს 1972 წელს დამაპტიმრეს ყველა ზემოთქმული სათვის. 1972 წლის მაისში გამგზავნეს ე. წ. ფსიხიატრიულ ექსპერტიზაზე, სერბისკის ინსტიტუტში, ნთვის განმავლობაში გაავატარე ლეფორტოვის ციხეში, ხოლო 1973 წლის ივლისიდან 1976 წლის 8 იანვრამდე ვიმყოფებოდი ნდპრაპეტროვსკის სპეციალურ ფსიხიატრულადმყოფოში, სადაც ვღებულობდი „განსაკუთრებულ მკურნალობას“. ამ საავადმყოფოში უმრავლესობა არის სულიერად დაავადებულები, მკვლელები, მოძალადენი, ხულოგნები და 60 კაცამდე პოლიტიკური პატიმრები, ვინებრივად სრულიად ჯანსაღები.

„ფსიხუშკას“ საშინელება თავს დამატყდა პირველ დღესვე. მე მომათავსეს მესამედ, ორ ერთმანეთზე მიღებული ტახტს შორის. ლკვიანე ყელაგნებოდნენ ვალოპირიდონის ნემსებისაგან ტკივილებით შეწუხებული ავადმყოფები; ერთს ენა ვადმოვარდნილი ჭინდა, მეორეს კი თვალბი ვადმოვარდნილი. ზოგი დადიოდა საჭიანელივით მოკუნტული, ზოგი იწვა და ტკივილისაგან ეკნესოდა. მათ ვგვირდის ნემსები შეუშხაბუნეს, — როგორც მათ მითხრეს, — ისინი დასაჯეს ცუდი ყოფა-ქცევისათვის. ყველა ავადმყოფი იყო საცელების ამარა უფლაქად. მე მრტყებოდა მომელონი ქალების, რადგანაც ასეთ საცემელებში სასქელო ორვანობი ჩანან...

კარებთან იდგნენ ავადმყოფები და სანიტრებს ეხვეწებოდნენ საპირფარეოში გაწევისას.

მეორე დღეს მოწმე ვიყავი თუ როგორ ცემდნენ სანიტრები და ექთანები ავადმყოფებს სრულიად უმიზეზოდ.

პოლიტიკურმა დამწყვედეულებმა გამავრთხილეს, რომ არასოდეს არ ვამეპროტესტებია თუ არ მინდოდა მიმედო გოგონადის ნეშტი, ან საპირფარეოში გასვლის უფლებების აკრძალვა. დასაწყისში მინც ვედავებოდი, მაგრამ შემდეგ დაერწმუნდი უფრო გონიერი იყო დაჩუქმება.

დამიწყეს „მკურნალობა“ პალოპერიდოლით, შემდეგ ნოროლეტაკით, რამაც გამოიწვია ძილი და აპათია. წიგნების კითხვა გამიძნელდა, სწრაფად დამეკარგა ინტერესი პოლიტიკურ საკითხებისადმი, შემდეგ სამეცნიერო საკითხებისადმი, ბოლოს ცოლისა და შვილებისადმი. იმა-ყარობა სულ თანდათან შიში: ლაპარაკი თანდათან მიძნელდებოდა და მესხიერებას ვკარგავდი.. ბოლოს, ყველაფერი ჩემთვის გახდა სულერთი; არავითარი ფიქრი აღარ მქონდა ვარა საპირფარეოსი, თამბაქოსი და ქრთამი მიმეცა სანიტრებისათვის, რომ კიდევ ერთხელ გაეკიშვი საპირფარეოში.

ბევრი სხვა შემამარწმუნებელი ამბები მოგვითხრო ლ. პლიუშჩმა, როგორც პირადად ვადატანილი, ისე მის მიერ ახალხელ დნარპოეტროვისკის სპეციალურ საავადმყოფოში. სამწუხაროდ ჩვენ აქ საშუალება არ გვაქვს ყველა აღვწეროთ.

ლ. პლიუშჩის მეორე საჯარო გამოსვლა.

იმავე თებერვალში, პარიზში ჩატარდა „საფ. ეროვნული განათლების ფედერაციის“ ყრილობა. განათლების მუშაკთა ამ პროკავშირში წარმოდგენილია სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლები და მათ შორის კომუნისტებიც. უმრავლობაში არიან სოციალისტები. ყრილობას დაესწრა ლ. პლიუშჩი. მან განაცხადა: „ბრძოლა რათა მოისპოს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია უაზროა დემოკრატიულ თავისუფლების გარეშე. მშრომელებს არ შეუძლიათ იბრძოლონ სოციალურ და პოლიტიკურ უფლებებისათვის თუ მათ არ გააჩნიათ ელემენტარული უფლება.“

„საბჭოთა კავშირში, განათლების მუშაკთა მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა ამ უკანასკნელ ათწლის განმავლობაში, მაგრამ სხვა მხრივ გაუარესდა; ისინი ვანიციდნენ მკაცრ იდეოლოგიურ კონტროლს, თავისუფალი რწმენის უფლება არ ტარდება; მასწავლებლები, რომლებიც რელიგიის პრაქტიკას ეწევიან იდევნებიან სასწავლებლიდან; მასწავლებლებს არ აქვთ არავითარი თვითშემოქმედებითი მუშაობის უფლება. პროკურორები და პოლიციელები ესწრებიან მოსწავლეთა და მშობლების

კრებებს. ახალგაზრდებს აწვიან ვითომც პარტიოტულ სწავლას, მაგრამ სინამდვილეში ის არის მილიტარისტული.“ — „რაც შეეხება პროფესიულ კავშირებს, მაფეხად ვითარი ავტონომია არ გააჩნიათ, ყველაფერი შეეხება პარტია ან ადმინისტრაცია.“

ლ. პლიუშჩის ღია წერილი.

25 თებერვალს, ფრანგულმა გაზეთმა ლიბერასიონმა გამოაქვეყნა ლ. პლიუშჩის ღია წერილი, ყველა ქვეყნის კომუნისტებისადმი, საბჭოთა კავშირის კომპარტიის მე-25 ყრილობასთან დაკავშირებით.

ლ. პლიუშჩი ჩამოთვლის მაგალითებს შორეული და ახლო წარსულიდან და ამ ფაქტების სინათლეზე ასკვის, რომ რუსეთში გაემეფებული რეჟიმი არ არის არც კომუნისტური, არც სოციალისტური.

შენიშვნა ლ. პლიუშჩთან დაკავშირებით.

საქიროდ მიგვაჩნია აღენიშნოთ, რომ დასავლეთს დიდ გამარჯვებად მოაჩნია ამ უსამართლოდ წამებულ ადამიანის საზღვარგარედ გადმოსახლება, ისევე როგორც სოლჟენიცინის, პანინის, მაქსიმოვის, ნეკრასოვის და სხვების. ეს თავისთავად უღირსად ბარბაროსული აქტი მიღებულ იქნა დიდი სიხარულით და მიჩნეულ იქნა, როგორც დათმობა საბჭოთა ხელისუფლებისა საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრისადმი. ნუთუ მსოფლიოს საზოგადოება მადლიერი უნდა იყოს ისეთი ხელისუფლების, რომელიც აპატივობს, აწამებს, ფსიხიატრულ საავადმყოფოებში, თუ საკატორღო ლაგერებში სულს ხდის ადამიანებს, რომლებსაც არავითარი ძალადობის აქტი არ ჩაუდენიათ, არავითარი შეთქმულებაში არ მიუღიათ მონაწილეობა, არც კი არიან მომხრე ხელისუფლების ძალით შეცვლის და რომელთა ერთადერთი დანაშაულია, რომ ისე არ ფიქრობენ და არ აზროვნობენ, როგორც ხელისუფლება, და როდესაც, ზოგიერთ ამ უღირსულად წამებულთა ვინაობა, და წამების ფაქტი გამოჟღერდება, როცა მის ბედზე საერთაშორისო საზოგადოება შემოფიქრდება, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება ისეთ „სულელობას“ იჩენს, რომ განთავსუფლების მაგიერად მას ასახლებს საზღვარგარეთ. ნუთუ ეს არის დათმობა? ნუთუ ეს არის გამარჯვება?

საზოგადოების ერთი ნაწილი, საბჭოების დიდი მოტფიალე და თაყვანისმცემელი, იქამდეც კი მიდის, რომ ასეთ აქტებს, საბჭოთა ხელისუფლების დიდ ღირსებად და დიდ ჰუმანიურობად თვლის. ნუთუ თავისუფლად მცხოვრებ და მოაზროვნე ადამიანებისათვის სირცხვილი არ არის ისე დაპრამედნენ პარტიზანული სულისკვეთებით, რომ სრულიად დაკარგონ ქვეშაირების და სამართლიანობის გრძნობები?

რას იტყოდენ ისინი, რომ მათი ხელისუფალნიც მათ ასევე „პუმანიურად“ მოექცნენ და სხვაგვარად აზროვნებისათვის თავიანთ მშობლიურ მიწაწყლიდან უტხოვთში ან თვით „საბჭოთა სამოთხეში“ გადაასახლონ?

მ. კავთარაძე.

საბჭოთა კავშირი

საზოგადოება „რ ო დ ი ნ ა“.

ნოემბრის „სამშობლომ“, მორცხვად, (მესამე გვერდზე) გვამცნო, რომ მოსკოვში ახლახან დაარსებულა ახალი საზოგადოება. ვაწვით მას „სამშობლოს“ უწოდებს, მაგრამ სინამდვილეში ეს არის „როდინა“, რუსული როდინა და მისი „სამშობლოდ“ ვადთარგმნა ორმაგი დანაშაულისა გახვით „სამშობლოსაგან“.

ამ ახალი საზოგადოების დანიშნულება არის მოკავშირე რესპუბლიკებში არსებულ „საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოებებს“ აღმოუჩინოს „დახმარება“ და „ხელის შეწყობა (იგულისხმება კონტროლი და ხელმძღვანელობა).

საზოგადოების წესდებაში, სხვათაშორის, ნათქვამია: „მისი ერთერთი ძირითადი მიზანია თანამემამულეთა მეშვეობით, საბჭოთა აქტიური სამშვიდობო პოლიტიკისათვის მხარდაჭერა“.

დღეს ბევრმაც კი იცის, რომ საბჭოთა „აქტიური სამშვიდობო პოლიტიკა“ ნიშნავს რუსულ საბჭოთა ხელისუფლების მსოფლიოზე გაბატონებას. ამიტომ „როდინას“ საზღვარგარეთელი თანამემამულეები თუ ასეთ უხეშ ანკასზე წამოეგებინან, თავისივე თავს დააბრალონ, ხოლო უცოდინარობას ვეღარ მოიმიზეზებენ.

ამ საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის დანიშვნას დიდი დავა არ გამოუწვევია: სახელმწიფო დაწვერვის ორგანოს „შეგანებით“, ერთხმად არჩეულ იქნა პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ნ. სტოლტოვი. ამრიგათ ოთარ გვიჩინოვების და გვივი კარბელაშვილების მოჩვენებითმა ავტონომიამაც ჩაილულის წყალი დაღია. „უფროსმა ძმებმა“ თანდათან უფრო მოუჭირეს მუხრუჭები.

ვლადიმერ ოსიპოვის დასჯა.

გასულ წლის 9 დეკემბერს, საკასაციო სასამართლომ დაადსტურა ვლადიმერ ოსიპოვისათვის უკვე მისჯილი სასჯელი; რვა წლის კატორღა, მკაცრ პირობებში.

ის უკვე 1961 წელს, დასჯილი იყო 7 წლის პატიმრობით. ვლადიმერ ოსიპოვი არის ანდ. სახაროვის მეგობარი და

დიდი ავტორიტეტი საზოგადოებას რეჟიმის ოპორტიუნისტურად შორის. ის დააპატიმრეს ზაფხულში, მის შემდეგ, რაც თვითამოკემის უფრნალებში: „ვერე“ და „ხელის“ ში გამოქვეყნდა მისი კრიტიკული წერილები საბჭოთა რეჟიმის მიმართ. ფეიქობენ რომ ის არის ერთერთი ამ უფრნალოთაგანის რედაქტორი.

პროფ. სერგეი კოვალევის გასამართლება.

12 დეკემბერს 1975 წელს, ქ. ვილნიუსში, გამოჩენილ მეცნიერს სერგეი კოვალევს მიესაჯა 7 წლის კატორღა, მკაცრი რეჟიმით და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წელი გადასახლება. ან. სახაროვმა, რომელიც სასამართლოს დარბაზში არ შეუშვეს, უფრნლისტებს განუცხადა: „ეს არის სამართლის პაროდია“.

ს. კოვალევი არის გამოჩენილი ბიოლოგი; წვერი საბჭ. კავშირის აღმზიანის უფლებათა დაცვის ლიგის, და ანტენტი ინტერნაციონალის. ამავე დროს, დააპატიმრებამდე, ხელმძღვანელობდა მეტად გავრცელებულ და სერიოზულ თვითამოკემის უფრნალს „მიმდინარე მოვლენების ქრონიკა“-ს.

5 სიკვალმისხალი აზრობაჯანში.

29 დეკემბერს, „ფეიქაროში“ ვკითხულობთ, რომ აზრობაჯანში, ეკონომიური ხასიათის ბრალდებით, სიკვდილი მიუსაჯეს ხუთ კაცს.

ექიმ მიხეილ სტერნის დასჯა.

გასული წლის 31 დეკემბერს, უკრაინის ქალაქ ვინიციში გაასამართლეს ექიმი მიხეილ სტერნი და მიუსაჯეს 8 წლის კატორღა, მკაცრი რეჟიმით. ის გაასამართლეს ყალბი ბრალდებითი. სინამდვილეში ის სდენიან მის შემდეგ რაც ექიმი ორი ვაივი გაიხიზნა ისრაელში.

მეოცდახუთე მასკარადი.

თებერვალში მოსკოვი თოელი მსოფლიოს განსაკუთრებულ უფრადლების ცენტრში იყო. იქ ადგილი ჰქონდა ს. ს. რ. კის კომპარტიის მე. 25-ე ყრილობას.

ასეთ ყრილობებზე, როორც წესი, ახალი და მოულოდნელი არ შეიძლება მოხდეს რამე. ლენინური „დემოკრატიული ცენტრალიზმი“ გამოირცხავს ამის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანი ვადაწყვეტილებები, ბრძოლა ხელისუფლებისათვის კულისებში მიმდინარეობს, ხალხის ფარულად. ყრილობაზე კი ხდება მომხდარ ცვლილებების კონსტატაცია და რეგისტრაცია.

ამ მხრივ, არც ეს მე25 ყრილობა განსხვავდება წარსულ-

ლებსიავან. ლეონიდ ბრეჯნევი, თავის 6 საათიან მოხსენებაში ახალი არაფერი უთქვამს, რაც საბჭოთა პრობაგანდის მიერ ათასჯერა არ ყოფილიყოს თქმული, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. არც გამოხულ თანამოხსენებლებს გამოუჩენიათ სიახლე და ირიგინალობა, და თუ ახალი რაც შეინიშნებოდა, ეს ის რომ აღარაინ დაბარაკობდა ხრულშიყვის განგვერგვენიშნის შემდეგ შექმნილ „ტრიოკავზე“, არც „კოლგეიურ მართველობის“ სიკეთეზე, ყველა ირატრიი ხმა შეწყვიბილად ლიტანიობდა ლეონიდ ილიჩის პიროვნებაზე; ხოტბას ასხამდნენ მის გამჭრიახობას, ხელმძღვანელობის უნარს, თავმდაბლობას, მაგრამ სიმტკიცეს მიზნის განხორციელების საქმეში და სხვა. უნდა აქ გაეკრით აღენიშნოთ, პირმოთენობა - მლიქვნელობაში სპიართველების კომპარტიის წარმომადგენელმა მაინც ყველა ირატრიი უკან ჩამოიტრია, ბრეჯნევის და მის რუსი მართველი ეკიპის შოვინისტური კურის სამებლად სხვა კუბლებებთან ერთად ედუარდ შევარტანემ ასეთი კუბლებიც წარმოთქვა: „შხიურ სპიართველობაში, მზე ნამდილად ჩრდილოეთიდან ამოვიღაო“.

ამნარიად, ამ ყრილობას თამამად შეიძლება ეწოდოს ბრეჯნევის კულტის საჯარო დადასტურების ყრილობა. არ უნდა თქმა, ამ ახალი კულტის გამოვლინება, არც შემობ. ვევიით ყოფილა, არც „სპონტანური“. ბრეჯნევი ამ უკანასკნელ წლებში გამოიჩინა სტალინის მეთოდების იშვიათი ცოდნა და მისი გამოყენების დიდი უნარი. პოლიტიბუროდან და ცენტრალურ კომიტეტიდან განდევნა ყველა შესწინამდგევე, ამ შესაძლებელი მეტოქე, დაყრობილ რესპუბლიკებში, სამხარეო თუ საოლქო ქვეყნებში, სპრძანებლო თანამდებობებზე მყოფნი ყველგან გამოკვალა და ახალი, მისი სანდო და მის ხელს შემყურები დაყაენა. ამ ცვლილებებს არ შეიძლებოდა არ გამოეყვირა მისი მოვლინა რომელსაც პიროვნების კულტის უწოდებენ და რომელიც დიდი ხანი არ არის დაგმობილი იყო ოფიციალურად. ალბათ ამის გამო, უცხო სტუმრების წინაშე, ბრეჯნევი თავი უხერხულად იგრძნო და თავის საბოლოო სიტყვაში განაცხადა: თუ წარმატებები იყო და რაზე კარგი ვაკეთდა ეს მარტო ჩემი დამსახურება კი არ არის, არამედ ყველასათ.

მიუხედავად ამისა ზოგნი ამბობენ ვითომც ლეონიდ ილიჩის სიტარის სარკეში ჩაებდის და იქედან მრისხანედ მაცქერა „მსოფლიო პროლეტარიატის მამადყოფილ“ სტალინისათვის ეკითხოს: „რას მიწყებები, ან რითა ვარ შენზედ ნაყლები“. რაზედაც ვითომც პასუხად მიიღოს: „ჯერ ერთი, როგორ არ განვირისხედ ყველაფერში მშაპავ, ჩემს სახელს კი არ ასხენებ, და მეორეც, როგორ შეგიძლია შემედარო, მე მთელი მსოფლიოს კომუნისტები სიტყვის შეუბრუნებლად მემორჩილებოდნენ, შენ კი მთავს ჩინეთმა იმპერიალისტ - რევოიონისტად მოგათალა, ბრძოლა გამოვიცხადა და ისიც ვერ შესძელ დანარჩენ კომუნის-

ტურ პარტიებისაგან მისი დაგმობა მიგელო, ჩიდეგ მებეპატარა ჩეხოსლოვაკიის დასამორჩილებლად მისი სამხედრო ოკუპაცია დაგვირდა, შეოშესკუს რუმინებზე დამოუკიდებლობას ჩემობს, პორტუგალიაში დაწყებულ კომუნისტური რევოლუტია ბოლომდე ვერ მიიყვანე, სადათმა ეგვიპტინდა სამარცხინოდ გამოვადლო, დასავლეთის კომუნისტურმა პარტიებმა ლენინის და ჩემი პარტიის წმინდასწმინდა პრინციპი, „პროლეტარიატის ლიტატურა“ უარყვეს, საბჭოთა კავშირის, მისი კომუნისტური პარტიის მბრძანებლობას და უხუნეაესობას არ სცნობენ. არა, შენ ჩემთან ხელი არ მოგწედეგა, შენ ჩვეულებრივი პატარა კატუნა ხარო“.



ანდრი ტვერდოხლებოვი.

ამა წლის 14 აპრილს, მოსკოვის ტრიბუნალმა გაასამართლა ანდრი ტვერდოხლებოვი, რომელსაც მიესაჯა 5 წლის პატიმრობა. პროცესი ოფიციალურად გამოცხადებული იყო საჯაროდ, — სინამდვილეში, უცხოეთის კორესპონდენტებმა იქ შესვლა ვერ მოახერხეს. მათ უთხრეს; რომ დარბაზში თავისუფალი ადგილები არ იყო.

ანდრი ტვერდოხლებოვი პროფესიით ფიზიკოსი, იყო მდივანი სერიოზოზრისო საზოგადოების „ამენტრ ინტერნაციონალის“ საბჭოთა სექციის და როგორც ასეთი საქმიანობდა უსამართლოდ დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების განთავისუფლების სასარგებლოდ.

მუსტაფა ჯემილევი.

ამავე დღეს, ქალაქ ომსკში, გაასამართლეს წარმოშობით ყირიმელი თათარი მუსტაფა ჯემილევი. როგორც უკვე ცნობილია, ყირიმელი თათრები მთლიანად გადაასახლეს სტალინის დროს უზბეკისტანში და ურალში, და ეს ხალხი დღესაც იქ იმყოფება; მათ არ აძლევენ თავიანთ მიწაწყალზე დაბრუნების ნებას. მუსტაფა ჯემილევი ერთი წლის ყოფილა გადასახლების დროს. ეს ახალგაზრდა დაუღალავად იღვწის აქტიურად, რათა თავისი ხალხი დაბრუნდეს ყირიმში. ამისათვის მას აპატიმრებენ 1974 წელში. მუსტაფა ჯემილევი აცხადებს ციხეში შიმშილობას. ის მხოლოდ 35 კილოგრამს იწონის და სახაროვის განცხადებით, მისი სიცოცხლე საფრთხეშია.

პროცესი ვითომც ტომსკშიაც საჯარო იყო მაგრამ, როცა აყადმეცოსი ანდრიე სახაროვი ცოლით იქ გამოცხადდა, პოლიციათ არაფრით შიგ არ შეუშვა. სახაროვებმა სცადეს ძალით შესვლა, მაგრამ ისინი დააპატიმრეს და თუმცა მალე განთავისუფლეს მათ ელით გასამართლება პოლიციელის ცემის მოტევით.

მუსტაფა ჯემილევის ტრიბუნალმა მიუსაჯა ორ ნახევარ წლით პატიმრობა, საბჭოთა სახელმწიფოს ცილისწამებისათვის.

თუ ჩვენს ირველეს მიმოვიხედვით, ძნელი არ არის შევამჩნიოთ, რომ ბუნებაში არაფერი ერთნაირი არ არის. თვით სამყაროში მიმოვანტულ უთვალვე ვარსკვლავებში ვერ აღმოვაჩინებთ ორს, რომელთაც ზუსტად ერთნაირი სინათლე მკონდით. რაც შეეხება ჩვენს დედამიწას, მის ზედაპირს, როდესაც მას აკვირდები, არ შეიძლება ექსტაზში არ მოხვიდე მსკობათა და თვისებათა სიუხვით; მისი ფლორისა და ფაუნის ზღაპრული სხვადასხვაობით. რად ღირს მარტო ყველთა ფერებისა და სურნელების ნაირსახეობა; ადამიანს ყოველივე ეს ახარებს, რადგანაც მრავალსახეობა ბუნების თვისება და ადამიანიც ხომ მისი შვილია.

მე არ მჯონია, რომ კაცობრიობა ერთ არსებიდან — ადამიანი მომდინარეობდეს, როგორც ეს ბილიამშია მოთხრობილი, მაგრამ ასეც რომ იყოს, ეს კიდევ უფრო მეტად დაადასტურებს დეაქტს, რომ ბუნებაში ერთსახეობა შეუძლებელია. რადგანაც ადამიანი ჩვენ დრომდე, კაცობრიობაში ასეთი მრავალსახეობა მიიღო. დიახ, ისევე როგორც ბუნება საერთოდ, კაცობრიობაც მრავალ სხვა და სხვა ერებისაგან შესდგება და ეს ამაზეც სრულებითაც არ არის ნაკლი. პირიქით, ეს არის კაცობრიობის სიმდიდრე და სტიმული მისი ვაფურჩქენის და აყვავების. უბედურება ხომ მხოლოდ მაშინ იწყება, როცა ერთი რომელიმე ერი გაკანდილებდა და ძალით მიიწოდებდა ამ ბუნებრივ წინასწრობის დარღვევას, შეეცდებოდა სხვა ერების ძალით დამორჩილებას და ასიმილაციას.

მუდამ არსებობდნენ მსოფლიოს დაპყრობის მოტრფილენი, ვანდილები დეაქტ კაცობრიობის, რომ კაცობრიობა ერთფეროვან ცხვრის ფარად გადაექცია და ქოჯაქებით ვარშემორტყმული, კომპლის უსულით წინ გაიერკათ თავის ნებაზე. ევემერული იყვნენ ყველა ასეთი იმპერატორი წარმონაქმნები, მაშინ როდესაც ერები თასწლეულებს გადაურჩენ და არასოდეს ერთა ბატონობა ისე ცხოველყოფილი არ ყოფილა, როგორც დღესა.

რამდენი ერი იმდენი სახელმწიფო, ასე დგას საკითხი დღეს. ყველა შეგნებულ და კეთილშინიერი ადამიანის ელითა მთელი თავისი საშუალებით იბრძოლოს და იღვაწიოს ამ კეთილშინილი და ბუნებრივ მიდრეკილების საბოლოო დაპყრობისათვის.

წარსულს ჩაბარდა რჩეული ერების და რჩეული ადამიანების თეორიები; დღეს კაცობრიობის დიდი უზრავლესობისათვის მიუღებელია ერთი ერის მიერ მეორის დამორჩილება, ისევე როგორც ერთი ადამიანის მიერ მეორის დამორჩილება და მისი შრომის ექსპლუატაცია. პრაქტიკაში კი ის მაინც ხორციელდება ცბერებისა და გამომწველობილი ძალის მიერ, რაც შენიღბულია სოციალიზმის, კომუნისმის თუ სხვა იზმით. ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და საბოლოოდ სიმართლემ უნდა გამიარჯვოს, მაგრამ ეს

რომ დროულად მოხდეს, საჭიროა რომ ეს სიტუაცია და თაღლითობა კარგად გაგებულ იქნას ფართო მასებისაგან.

დასავლეთ ევროპაში წარსულში დიდძალ რეაქსიონერებისა და ადამიანების მონობისაგან განთავისუფლების საქმეში დასავლეთის ცივილიზაციაზე აღზრდილმა თაობებმა უარყვეს ფეოდალიზმი და ასოლუტური მონარქიზმი, ხორცი შეასხეს ერისა და პიროვნების თავისუფლებას, მაღალ საფეხურზე აიყვანეს მეცნიერების და ტექნიკის განვითარება. ზოგიერთის თავებზე დაახვია აჩქარებულმა დეკოლონიზაციამ, ბევრისათვის ის სინონიმი გახდა დასავლეთის ცივილიზაციის დეკადანსის.

დასავლეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა ვალია გაპანტონ ეს მენე და ყალბი ხმები და მისი ჯერ კიდევ უზარმაზარი მორალური და მატერიალური მარაგი ქარს არ გაატანოს და არ გაანაივოს. ევროპის მომავალში შეუძლია დიდი როლი შეასრულოს, თუ ის ერთგული დარჩება იმ ძირითადი პრინციპების, რამაც ხელი შეუწყო დასავლეთის ცივილიზაციის აღორძინებას.

ადამიანის მოვალეობისა და უფლების პატივისცემა, ოჯახის, როგორც საზოგადოების აუცილებელი ერთეულის დაცვა და გამაგრება, სახელმწიფოების გაერთიანება და ერთგულ სახელმწიფოების თანასწორუფლებიანობა უნდა იყოს ამ ცივილიზაციის პოლიტიკური საფუძვლები.

დემოკრატია უქვეყნად არის მართველობის ყველაზე სრულყოფილი ადამიანური ფორმა. ცდებიან, ან განგებ ცრუობენ საბჭოთა მესვეურები და ყველა მათი თავანისი მკემლები, თითქოს დემოკრატია იყოს ზოგან ბურჟუაზიაში, ზოგან სახალხო. ზოგან პროლეტარული. დემოკრატია ერთია და ის გულისხმობს ხალხის ბატონობას, ხოლო ხალხში ყველა მისი შემადგენელი ფენები ივულისხმება; თუ აქედან რომელიმეს გამოირიცხავ, მაშინ ის დემოკრატია კი აღარ არის, არამედ ტრანია ერთი ნაწილისა მთელზე. დემოკრატია არ შეიძლება არც ბურჟუაზიული, არც პროლეტარული მითუმეტეს არ შეიძლება ერთი პარტიის, ან ერთი ცენტრ ჯგუფის, როგორც ამას დემოკრატია კი აღარ არის, არამედ ტრანია აღმოსავლეთ ევროპის, ე. წ. „სახალხო დემოკრატებში“ და კუბაში.

დემოკრატია რომ იმოქმედოს, აუცილებელია ადამიანი დემოკრატურად იყოს თავისუფალი და ყოველგვარი შიშის გარეშე მოახდინოს არჩევანი. არჩევანი რომ მოახდინოს საჭიროა არსებობდეს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და დაჯგუფებები, არ შეიძლება კრემლის ბატონებმა ეს არ იცოდნენ, და რომ აკიან ეს იქიდან ჩანს, რომ ისინი ცდილობენ დემოკრატული მურქვის ვაგვიონ და ხანდახან არჩევნობანაც გაითამაშონ, ქვეყანა მოატყუნონ. ისინი ხომ ტყუილის ვირტუოზები არიან. ტყუილი მათ,

თავინათ სახელმწიფო მართვის სისტემად აქციეს და დღეს ცდილობენ ის საკაცობრიოდ გახადონ.

პარადოქსალური და საეკონომიკო, რომ თავისუფალ სამყაროში არა ერთი ვულტურაციული ვარდება საბჭოების სიკრუის ხაფანგში. დემოკრატიული ქვეყნების მმართველების, დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელების მოვალეობაა მუდამ, დაუღალავად, სწორ ინფორმაციას აძლევდნენ მასებს, ნათლად უმარტყდნენ მათ, თუ რა საშიშროება მოელოს თვითველ თავისუფალ ადამიანს ცალ-ცალკე, შემდეგ ერს და ბოლოს მთელ კაცობრიობას, თუ მათთვის არსულ ბოლშევიკურმა მეთოდმა გაიმარჯვა მსოფლიოში.

დემოკრატიისთვის ყველა ფერის ტირანია მიუღებელია. მიუღებელია აგრეთვე ამ ბოლო დროს ასე გახშირებული სამხედრო დიქტატურები, მაგრამ რა შედარებაა პინოშეს და ილი ამინის დიქტატურებსა და საბჭოთა დიქტატურას შორის. პირველები ლოკალური და დროებითი მოვლენებია, რომელთაც დრო და თავისივე ხალხი გაუსწორებდა, მაგრამ კბილებამდე შეიარაღებული, უზარმაზარი სახელმწიფო, ცბიერი იდეოლოგიით და მსოფლიოზე გაბატონების ურყევი გადაწყვეტილებით, არის უპირველესი და უსაშინესი მტერი დემოკრატიის და მამასადამე მთელი კაცობრიობის.

თუ საბჭოთა რუსეთი დღეს ასე გაძლიერებულია და ასეთ დიდა საფრთხეს წარმოადგენს, ეს უმთავრესად აიხსნება დასავლეთის სახელმწიფო მესვეურთა შეცდომებით. წარსული და მშვეებულ შეცდომების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ დაეასანგლებ იმ მთავარ შეცდომას, რომელიც დღესაც გრძელდება.

სამხედრო სტრატეგიაში კარგად ცნობილია, რომ შეუძლებელია ჯარმა გამარჯვოს თუ ის მუდმივ თავდაცვაშია. ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი ინარჩუნებს ინიციატივას, ის შეტევას აწარმოებს სადაც და როდესაც ეს მისთვის სასარგებლოა, დასავლეთი კი მუდამ თავდაცვის პოზიციაზეა. გაუფიქრია, მაგრამ ფაქტია: კორეაში და იმდენ მსხვერპლის შემდეგ გამარჯვებული ამერიკის და იმდენ ჯარები მე-17 პარაოლიზე შეჩერდნენ და საზავო მოლაპარაკება გაიმართა. გამარჯვებულ ჯარს უფლება არ მისცეს ბრძოლა განეგრძოს და მთელი კორეა კომუნისტურ ულლისავან გაენათვისუფლებია. კიდევ მეტი, ინდოჩინეთში მეტაბოლი ამერიკის საექსპანდციო არმიას უფლება არ ჰქონდა მტერს მისსავე ტერიტორიაზე დაეღწეებოდა, ერთხელ და სამუდამოდ გაენადღურებია. მაშინ როდესაც ჩრდილოეთ ვიეტნამი აწარმოებდა ჯარების კონცენტრაციას სადაც უნდოდა და შეტევაზე გადადიოდა სადაც ეს მას ხელს უწყობდა. ასეთი მდგომარეობა წლებით გრძელდებოდა, რამაც ხელი შეუწყო შექმნილიყო ლეგენდა კომუნისტური ინდოჩინეთის არმიის უძლეველობაზე და ამერიკის ჯარების უეარგი-

ლობაზე. ამ ამბავს არ შეიძლება არ გამოეწევა ამერიკის ჯარების და თვით ამერიკელი ხალხის დემორალისაც, და კიდევაც გამოიწევა. ამ ამბავს ადგილი აქვს ერთ მხარეს, სამხედრო ოპერაციების წარმოების დროს, არამედ სრულად შორის დიპლომატიურ სტრატეგიაშიც. დროა, დასავლეთშია შეცვალოს სტრატეგია, თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდეს, ინიციატივა ხელში აიღოს, ისარგებლოს კომუნისტური ბლოკის სუსტი მხარეებით, რომელთა შორის უმთავრესია ეკონომიური სიღარიბე, ეროვნული ჩაგვრა და ადამიანის ადამრება. საკუთარ ძალების მომბოხებისთანავე ერთად ხელი გაუწოდოს, გაამხნევოს, დაეხმაროს საბჭოთა რუსეთის ტყვეობაში მყოფ ხალხებს, რომლებიც უბრალო ტომები კი არ წარმოადგენენ არამედ ძველ ცივილიზებულ ერებს, მთავარი საუკეთესოების დამოუკიდებელი სახელმწიფოებებიც ტრადიციებით..

ზოგიერთ უპირობო „პაციფისტს“ შეიძლება მოეჩვენოს, რომ მე ჯვაროსნულ ომს ვქადავებ საბჭოებისა და კომუნისტური მთავრობის მიმართ, რაც არავითარ შემთხვევაში სიმართლეს არ შეეფერება. მეც სხვაზე ნაკლებად არ მათეოქებუ და არ მაწუხებს მომავალი გამანადგურებელი ომების შესაძლებლობა. ღრმად მწამს, რომ ყველა მთავრობა, რომელიც ხალხის ნება-სურვილს გამოხატავს, ცდილობს და უნდა ცდილობდეს მშვიდობიანობის მიღწევას.

მაგრამ მშვიდობა მომავალში შეიძლება ორგანიზაციის შევიდოდა მონების და მშვიდობა თავისუფალ ადამიანების. დღიდან მეორე მსოფლიო ომის დამთავრების, საბჭოთა ხელისუფლება სწორედ ამ მონების მწკრივას გულსინძობს, რიცა მშვიდობიან თანაარსებობაზე ვაპიკვის.

არაინ ადამიანები რომელთაც ასეთი მშვიდობა დასაშვებად მიაჩნიათ. მე ამ ადამიანებისათვის სათქმელი არაფერი მაქვს. მაგრამ ვისაც გულწრფელად უნდა მშვიდობა თავისუფლები და ღირსებაში, მან კარგად უნდა შეიგნოს, რომ თუ და იღეთი ძლიერი არ იქნა მხედრულად მორალურად და პოლიტიკურად, ის ვერ მიალწევა საბჭოთა რუსეთთან ვერც განიარაღებას, ვერც ზავს, ვერც მშვიდობას.

მე მგონია ასეთი შინაარსის აზიან ალექსანდრე სოლჟენიცინის განცხადებები და მოწოდებებიც. ხოლო ალ. სოლჟენიცინი კი საბჭოთა რეალიზიდან გამოსული ის რუსია, რომელიც ღვთით ნაბოძებ ნიჭთან ერთად, საკუთარი თვალთნ ნახულმა და პირადმა გამოცდილებებმა ბრძენად აღვიკვის.

თუ კაცობრიობა განწირული არ არის, მან უნდა ისინი და შეიგნოს მისი თითქოს უბრალო, მაგრამ რაოდენ მნიშვნელოვანი ვაფრთხილებები.

გიორგი წერეთელი.

პარიზი აპრილი 1976 წ.

დემოკრატიულ სამყაროში ხშირად გვეხმის სიტყვები: „პარტიისპასიონ“, „კოექსტიონ“, „ოტოქსტიონ“. სიტყვა „ექსტიონ“ მართვის ნიშნავს, და აქედან შექმნილი რთული სიტყვები ეხებიან წარმოების მართვის ფორმის და ხასიათის განსაზღვრას, მნიშვნელოვანი პარტიები და მთავრობები, სულ უფრო და უფრო მდიანი იმ გადაწყვეტილებად, რომ საზოგადოების მომავალ პარტიზონულ ეანტიარებისათვის საჭიროა შიოცვლის წარმოების ძველი წესი, რომლის დროსაც პატრონი, ან კაპიტალი წყვეტდა ყველაფერს ახალით, სადაც წარმოების მართვაში მონაწილეობას მიიღებს მასში მომუშავე მთელი პერსონელი.

დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საჭიროა მუშების და მოსამსახურეების მატერიალური მდგომარეობა სულ თანდათან უმჯობესდებოდეს, და რომ ის დიდათ არ განსხვავდებოდეს მისი შრომელებისაგან, წარმოების უმაღლესი კადრისაგან. ამასთან ერთად საჭიროა წარმოების ყველა წევრი, უმდაბლესიდან უმაღლესამდე თავს გრძნობდეს წარმოების პასუხისმგებლად, მონაწილეობასღებულად წარმოების ორიენტაციებში, კონტროლს ეწეოდეს მართვის საქმეში.

ოლინდ, მიელი გულისყური მიმართულია იმისაკენ, რათა ეს რეფორმები მოხდეს ისე, რომ ხელი არ შეეშალოს წარმოების პროდუქტიულობას, არ გამოიწვიოს წარმოების საერთო კრიზისი, რაც მავნე იქნება როგორც თვით მუშათა კლასისათვის ისე მიელი საზოგადოებისათვის.

უქანასკნელ პერიოდის გამოცილილებმა საერთოდ, და კერძოდ საბჭოთა კავშირის მაგალითმა ცხადია, რომ სოციალური ხასიათის რეფორმების დროს, არ შეიძლება უგულბებლყოფა ისეთი ძირითადი პრინციპების, როგორიცაა კერძო საკუთრება, მოგება და კერძო ინიციატივა, რადგანაც ისინი წარმოადგენენ უზუნებრივ მოტრის პროდუქციის სიუხვის და ხარისხისას.

ამიტომ პოლიტიკურ და პროფესიონალურ მოღვაწეთათა მთელი გულისყური მიმართულია რათა ეს ორი, ხშირად ურთიერთ მოწინააღმდეგე, ცნება: ევალტარიზმი და იდეოლოგიკური ერთმანეთს შეუთვლიონ და ერთმანეთი არ შეეპიან.

ამ მხრივ ევროპაში ყველაზე დაწინაურებული ჩანს გერმანიის ფილერაკული რესპუბლიკა, — მისი დინამიური მრეწველობა ალბათ უკეთ იძლევა ამის შესაძლებლობას. ზონის პარლამენტმა, მთავრობის წინადადებით, (391 ხმით, 22-ის წინააღმდეგ), მიიღო კანონპროექტი წარმოების „თანამართვის“ (კოექსტიონ) შესახებ. ეს კანონი ძალაში შევა მომავალ ივლისიდან, და იგი გავრცელდება დაახლოებით 650 მხარე წარმოებაში, რომლებიც იყენებენ ორი ათას ან მეტ მუშა-მოსამსახურეს. ასეთი წარმოებთათვის სავალდებულოა შექმნან „სახე-

დამხედველო საბჭო“, რომელშიაც ერთი და იგივე რაოდენობით წარმოდგენილი იქნება კაპიტალის და მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლები. ეს საბჭოები წარმოებთა წარმოების საქმიანობას და განაწილებას წარმოების ძირითად ორიენტაციებს. გერმანიაში ასეთი სახედამხედველო საბჭოების ცდები უკვე ჩატარა რურის ქუანახშირის მხსველ დაწესებულებებში და როგორც ჩანს დადებითი შედეგები აჩვენა.

საფრანგეთშიაც წარმოების რეორგანიზაციის საკითხი უკვე დღის წიგნშია დას, დღებუტ პიერ სილდრის კომისიის მიერ საკითხის გულმოდგინედ შესწავლის შემდეგ, და მათი დასკვნების საფუძველზე, საფრანგეთის მთავრობამ თავის უქანასკნელ ხსლომაზე (14. 4. 76 წ.), მიიღო კანონპროექტი საფრანგეთის მხსველ დაწესებულებების რეორგანიზაციის შესახებ, რომელიც ძირითადად ძალიან წააგავს გერმანულ „კოექსტიონის“ რეფორმას. სოციალურ პარტინიორთა მიერ განხილვის შემდეგ, კანონპროექტი, ამ შემოდგომას, გადაეცემა პარლამენტს და მთავრობა ფიქრობს, რომ მომავალ წლიდან მოხდება ამ რეფორმის ცხოვრებაში გატარება.

იქნებ ინტერესმოკლებული არ იყოს აქვე აღვნიშნოთ, რომ ბევრი მცირერიცხოვანი მემარცხენე სოციალისტური პარტიები, ამ ბოლო დროს საფრანგეთის სოციალისტური პარტიაც, მოითხოვენ წარმოების ე. წ. „ოტოქსტიონურ“ რეფორმებს, რომლის მიხედვითაც, წარბის პატრონი და მამასადამე ბატონიც არის მისი პერსონელი, მათ თვით უნდა მართონ ის დემოკრატიული წესით დემოკრატიულად არჩეულ ხელმძღვანელების საშუალებით, ასეთი რადიკალური ცვლილების მოწინააღმდეგეებს, (მათ შორის არიან ბევრი სოც. დემოკრატებიც), ეს მოაჩინა-საშიშროა, დაწმუნებული არიან რომ ეს გამოიწვიოს ანარქიას წარმოებაში, მოისპობა კერძო ინიციატივის საშუალება, მას მოყვება უმკველი კრიზისი, უმუშევრობა და შიმშილი.

თვით მარქსის „მატრიონული მატერიალიზმის“ მიხედვით საზოგადოების განვითარება მოხდა წარსულში სიმდიდრის დაგროვების უპირატესობის საფუძველზე: წარმოების მონური წესი შეცვალა ფეოდალურმა, რადგან იგი უფრო პროდუქტიული იყო. ეს უქანასკნელი შეიცვალა კაპიტალისტური წესით, სწორედ იგივე მიზეზით, რადგანაც იგი იძლეოდა ვაცილებით მეტ პროდუქციას, ქმნიდა ვაცილებით მეტ სიმდიდრეს და მეტ წინსვლას, წარმოების კერძო საკუთრების ეს წესი რომ შეიცვალის საბოლოოდ, საჭიროა ახალი იყოს კიდევ უფრო მეტი პროდუქტიული. მარტო ევალტარიზმის კეთილშობილი მისწრაფებები საკმარისი არ არის. რომ ამ უკეთეს ფორმას საზოგადოებამ მიაგნოს საჭიროა მას ქონდეს საშუალება ცდების წარმოების და არჩევის უფლება.

პროლეტარიატის დიქტატურა და კომუნისტ. პარტიები.

მიმდინარე წლის თებერვლის პირველ რიცხვებში ჩატარდა საფრანგეთის კომპარტის მე-22 ყრილობა. ამ ყრილობამ ოფიციალურად დაადასტურა პარტიის წესდგენიან ამბიციურ მუხლი, რომელიც ეხება სოციალიზმის განხორციელებისათვის პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების საჭიროებას. როგორც ყველასათვის ცნობილია, ეს მუხლი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომპარტის და მით საბჭოთა რეჟიმის საფუძველს.

ჩვენ ინტერესს მოკლებული არ იყოს ჩვენს მკითხველებს მოგვაზნოთ, რომ საფრანგეთის კომპარტია ერთადერთი არ არის, რომელმაც ხელი აიღო ლენინის ამ წმინდა - წმიდა პრინციპზე. უფრო ადრე, დასავლეთ ევროპის სხვა კომპარტებმა უკვე უარყვეს იგი. მაგალითად: ინგლისის კომპარტამ 1951 წელს; ბელგიის კომპარტამ 1954 წელს; შვეიცის კომპარტამ 1967 წელს; ფინეთის კომპარტამ 1969 წელს; ხოლო პორტუგალიის კომპარტამ 1974 წელს.

— : —

რწმენის დენის საწინააღმდეგო მიტინგი პარიზში.

29 იანვარს, პარიზში, იურდიულ ფაკულტეტის ბინაზე, გაიმართა კონფერენცია. თავმჯდომარეობდა იურისტი ჟან-მარკ ვარო, (რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ლ. პლიუშჩის განთავისუფლებაში და საერთოდ საბჭოთა საპარტიოებში რწმენისათვის დასჯილთა განთავისუფლების საქმეში), პრეზიდენტში კი იყვნენ ვლადიმირ მაქსიმოვი. (მწერალი, კრებულ „კონტინენტს“ რედაქტორი,) ვიქტორ ნეკრასოვი (მწერალი), ალექსანდრე გალიჩი, (პოეტი), დმიტრი პანინი, (ლიტერატორი, მწერალი), რევერან პერ მიშელ რიკე და ჟან დორმესონი. მაქსიმოვი გაციტებული იყო და ხმა დაკარგული ქონდა. გალიჩმა მაქსიმოვის, ნეკრასოვის და თავის პირადი სახელით წაიკითხა განცხადება, სადაც ნათქვამია: „ამ უკანასკნელ ხანს ულ უფრო და უფრო ძლიერდება ანდრეი სახაროვის დენა-შევიწროება; ჩვენი დროის უდიდესი ადამიანის თავისუფლება და თვით საცოცხლეს საფრთხეშია. მსოფლიოს საზოგადოების ახლა უნდა დაიცვას იგი საბჭოთა ხელისუფლებისაგან“.

ვიქტორ ნეკრასოვმა დამსწრეთ მოუთხრო ზოგიერთი მისი თავგადასავალი; ჩამოთვალა პარტიზმში მყოფი ოპოზიციონერები, რომელსაც ის პირადად იცნობდა, ილაპარაკა დმისუკებზე და სხვათაშორის ისიც თქვა, რომ ახალგაზრდა, ახლად კურსდამთავრებული ფსიხიატრი გუსმანი დაუნიშნავთ დნეპროპეტროვსკის ფსიხუშკაში.

გუსმანს არ უნდომებია იქ სამსახური. მის შემდეგ მან სამსახური ველარსად იშოვნა და ბოლოს თავი ამოყო პარტიზმში.

დმიტრი პანინმა უმთავრესად ილაპარაკა საზოგადოებრივი მოტივებით დენაზე, პარტიზმზე და გადასახლებაზე. პერ რიკემ და ჟან დორმესონმა ქებით მოიხსენიეს საბჭოთა კავშირის თავისუფლებისათვის მეტობარლები და მოუწოდეს დამსწრე საზოგადოების მათთან სოლიდარობისკენ.

ყველა გამოსული ორატორი და ბატონი ე. პ. ვარო კმაყოფილი არიან ლენინ პლიუშჩის განთავისუფლებით, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია, საბჭოების ფსიხიატრულ სპეციალურ საავადმყოფოებში მრავალი უცნობი პოლიტპარტიზმი, რომელთა განთავისუფლებაზედაც უნდა ვიზრუნეთ.

იშვოსლავსია. აპრილის პირველ რიცხვებში; იუგოსლავიაში გასამართლეს 9 ბრალდებული და მათ მიესაჯათ 3-დან 12 წლამდე პატიმრობა. მათ ბრალდებოდათ მარქსისტულ-ლენინურ პარტიის დაარსების ცდა. („ფიგარო“ 15.4.76).

იუგოსლავიაში, საბჭოთა კავშირის ძირგამომთხრელი საქმიანობა ახალი არ არის. დიდიან ტიტოს მიერ, საბჭოთა სატელიტობაზე უარისა, და დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებისა, როცა სტალინის რისხვამ და მეჭარამ ვერ ვასტანა, დიწყო იუგოსლავიის შინაგანი ვადატარილების მზადება. მის შემდეგ, კრემლში „ხაზენიები“ გამოიკვლინენ; ჯერ ხელშეკრებით, მერე ბრუნევი ტიტოს უღიმიან, მაგრამ მათი ძველი გეგმები ძალაში რჩება.

ტიტო სანამ ცოცხალია ახერხებს წინასწარობის დაცვას ნაციონალისტებსა და კომინფორმისტებს შორის, მაგრამ შემდეგ არავინ იცის როგორ წარიმართება იუგოსლავიის ბედი.


—

საერთაშორისო ექსპერტიზა ფსიხიატრიაში.

24 იანვარს 1976 წელს ქ. პრაიენ-ში (შვეიცარია), შეიკრიბა სხვა და სხვა ქვეყნების ექიმი-ფსიხიატრი, იურისტები და ფილოსოფოსები. ამ შეკრების ორგანიზატორთა შორის იყო ფსიხიატრიის დოქტორი ლასლო ლუკა. ლასლო ლუკა არის ვენგრელი. თავის ქვეყანაში, თავის თავზე გამოსცადა სპეციალური ფსიხიატრული სავადმყოფო (თუ საპატიმრო). 1956 წლის ვენგრის რევოლუციის შემდეგ გადმოიხვეწა დასავლეთში და ამჟამად ცხოვრობს და საქმიანობს ენევაში.

დოქტორ ლასლო ლუკამ, ქ. პრაიენის შეკრების შესახებ განაცხადა „ჩვენი მიზანია შევისწავლოთ თუ რა პირობებში შეიძლება დაარსდეს საერთაშორისო ექსპერტიზა ფსიხიატრულ პარტიზმების საქმეში.“

28962



გასულ წლის დეკემბერში, დასავლეთ ვერობის ყველა ქვეყნების ტელეხელვაში უჩვენეს ფილმი ქ. რიგის მახლობლად მდებარე პოლიტპატიმართა ლაგერი.

საბჭოთა კავშირის გლწმა პარიზში, ოფიციალური პროტესტი განუცხადა საფრანგეთის მთავრობას. საფრანგეთის კომპარტიის აღმ.პრულებელმა ბიურომ განაცხადა: „თუ ჩაივინები სურათები ნამდვილია, და თუ საბჭოები არ წარმოადგენენ გამამართლებელ საბუთებს ფილმის შემზარების უარსაყოფად, ის გამოსთქვამს თავის ღრმა გაკვირვებას და მის მკაცრ დაგმობას.

ასეთი გაუმართლებელი ფაქტები, აუცილებლად, საზარალოა სოციალიზმის საქმისათვის“.

ლ ა ნ ი ა. დანის პარლამენტის სამხედრო კომისია შეფუთებულია ვარშავის ბლოკის დაწოლით, ბლტის ზღვაში და დანის საზღვრებთან. ვარშავის ბლოკის სამხედრო ფლოტი განუწყვეტილ აწარმოებს ჯარების გადასხმის მანოვრებს, დანის საზღვრების სულ უფრო და უფრო ახლო, ხოლო გამანადგურებელი და ყუმბარამშენი ავიცია ფრენებს აწარმოებს დანის საპაერო ზონების მახლობლად. („ფიგარო 6.2.76).

წიგნი ღაწირილი საჰმის ცოდნით
კარლო ინსარიძე.
ფილმისმეტყველება. მიუხეხნი 1975.

გამოვიდა დოქტორ კარლო ინსარიძის მეცნიერული ნაშრომი „ფილმისმეტყველება“. წიგნი შეიცავს 6 თავს: პირველ თავში გაშუქებულია ფილმური გამოსახვის საშუალებანი.

მეორე თავში განხილულია ფილმური გამოსახვის მხატვრული ფორმები.

მესამე თავი ეხება ფილმური გამოსახვის არამხატვრულ ფორმებს.

მეოთხე თავში გაანალიზებულია ფილმის დამოკიდებულება ხელოვნების სხვა დარგებთან.

მესამე თავი დათმობლია აქვს კინოპროდუქციას, ხოლო მიექვეს თავში განხილულია კინოპროგრამისა და კინომეტყველების საკითხი.

კარგია ავტორის „წინასიტყვა“ რომ უხმარია და არა „წინასიტყვაობა“, რაც არ უხდება ქართულ ენის ბუნებურ ავტორი მოვითხოვს, რომ შეიძლება ამ ნაშრომს ეწოდოს „ფილოლოგია“, „ფილმის მეცნიერება“ თუ „კინო-დრამატურგია“, მე მაინც სახელწოდება „ფილმის-

მეტყველება“ ვამჯობინე — ვინაიდან ეს უფრო ქართული ტერმინად მივიჩნეო.

სავსებით სწორია, რადგან ის მომდინარეობს ძველი ქართული სიტყვა „უხრობისავა“, რაც მეტყველებას ნიშნავს. (ხილეთ ამის შესახებ ვრცლად გ. მელიქიშვილის „საქართველოს ძველი ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 450, რუსულ ენაზე).

ავტორის ხსენებული შრომისათვის შესარგებლია აუზრებელი უცხოური მეცნიერული შრომებით.

დრ. კარლო ინსარიძის განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან შესძლო ფილმისმეტყველების, როგორც მეცნიერების ახალი კონცეპციის მოცემაც. ეს დიდი შრომა დაწერილია საგნის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით.

ამა თუ იმ მეცნიერ ავტორის თვითმეტყველებულ დებულებას, კარლო ინსარიძე ღრმად ანალიზებს და საკუთარი დასკვნები გამოაქვს; ასე რომ წიგნის ავტორი არ არის „ტყვე ავტორიტეტის“, არამედ იყენებს მას მოუკიდებელი აზრის დასამტკიცებლად. ამდენად იგი ორიგინალურია.

ძალიან კარგად არის გარჩეული კინომაყურებლის ეროვნული რაობა, მისი ფსიქოლოგიური რაობა და კინოკრიტიკის არსი.

წიგნი განკუთვნილია, რათქმა უნდა, არამასობრივი მკითხველისათვის, არამედ ფილმის მეცნიერების დარგის მუშაკებისა და სტუდენტებისათვის. ეს დიდი ნაშრომი თავისი შინაარსით და მოცულობით ხელოვნების დარგის საუნივერსიტეტო კურსს წარმოადგენს.

წიგნში აქა იქ შეიმჩნევა კორექტორული შეცდომები და არასწორი გამოთქმები. წერია: გერმანული ენის ქვეყნებში. ჩენი აზრით, სჯობია გერმანულ ენოვან ქვეყნებში. უკეთესია ვიზმართ ოლიმპოს ბავშვები და არა „ოლიმპოს ბავშვები“.

გერმანული გეგმები და გეოგრაფიული ადგილების სახელები ქართულში ყოველთვის იწერება ისე, როგორც გერმანულად გამოითქმის. მაგალითად: არა ეიზენშტეინი, არამედ აიზენშტაინი, როგორც ჰაინე დ არა ჰაინე, ლაიფციგი და არა ლიეპციგი და სხვა.

არ სჯობდა, ვითომ, გვეხმარა ეკლესიის „ალტარის“ ნაცვლად საკურთხეველი? ანდა სალდათის ნაცვლად გვეხმარა ჯარისკაცი ან მხედარი? მაგრამ რაა ეს მცირე ხარვეზი იმ დიდ მომბასთან. რომელიც ავტორს თავისი გონებითა და ხელით აუგია.

არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ამგვარი დიდი შრომის შექმნა ერთი ადამიანის მიერ მოითხოვს დიდს დროსა და ენერგიას. ეს არის სწორედ მისი დიდი დამსახურება.

ვუსურვებ ჩვენს თანამემამულეს კიდევ შესწლოს მეცნიერული კვლევა ხელოვნების საკითხზე, რაც მას ასე კარგად ემარჯვება. აქვე გვინდა მოვავანოთ ჩვენს მკითხველებს,

რომ კარლო ინსარიძემ 1971 წელს გამოცა კიდევ ერთი დიდი მოცულობის ნაშრომი „რადიომეტყველება“.

ამ დიდი შრომების დაძლევა განაპირობა იმანაც, რომ დრ. კარლო ინსარიძემ რამდენიმე სემესტრი მოისმინა, საქვეყნო ცნობილ გერმანულ ხელოვნებათმცოდნის არტურ ქუჩერასი და მასთან სემინარებში მუშაობდა.

ეს ჩვენი მცირე, უმნიშვნელო შენიშვნა ოდნავადაც ვერ ამკირებს ხსენებულ სამეცნიერო წიგნის ღირსებას. სამწუხაროა რომ ის არ არის გამოცემული და დაბეჭდილი სტამბის წესით.

კარგია ეს ნაშრომი დადათარგმნოს გერმანულ ენაზე. ეს თვითონ ავტორმა უნდა გააკეთოს, რადგან ის სათანადო ფლობს გერმანულ ენას.

კოლხი.

† თამარ პ ა ვ ა ვ ა

21 მარტს, არგენტინაში ვარდაცვალა ქალბატონი თამარა პავაისი. კიდევ სამი დღე რომ ეცხოვრა განსვენებული 90 წელსადა შეასრულდება. ქალბატონი თამარი იყო გოგოლაშვილის ასული.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ის სწავლას აგრძელებს ჯერ რუსეთში, შემდეგ გერმანიაში. სწავლასთან ერთად, ახალგაზრდა თამარი ინტერესით თვალყურს ადევნებს იმ დროინდელ პოლიტიკურ მოვლენებსაც. მისივე თქმით, სტუდენტობის დროს, ის გატაცებული ყოფილა სოციალისტური იდეებით და „საქართველოს ეროვნული თავისუფლება, მე (ალკე არც მესმია, თუ არა შემდეგათ სავრთო, საკაცობრიო განთავისუფლებისა“ ბრძანებს ის, ნოე ჟორდანიას ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში.

მგარაბ რუსეთის რევოლუციის წინა წლებისათვის ეს უკვე ასე აღარ არის, მისი სული, სხვა მის თაობის ახალგაზრდებთან ერთად, უფრო „დიდსა“ და „გაბედულს“, მოითხოვს და ეს კი არის საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას თამარი აღტაცებით მიეგება, ხოლო 1921 წლის თებერვლის მარტში მეზივით დაატყდება თავს. 1922 წლიდან თამარი დევნილობაშია; — საფრანგეთი, გერმანია, 1949 წლიდან არგენტინაში.

განსაკუთრებით გერმანიაში, თამარ და აკაკი პავაების ოჯახი ნამდვილი ქართული სალონი იყო, სადაც თავს იყრიდა ქართული ინტელიგენცია. მრავალთა შორის: ლა. დო ახმეტელი, მიხეილ წყერელი, გრიგოლ ორბაქიძე, სამსონ ფირცხალავა, კიტა ჩხენკელი, შალვა ამირჯანი. ზურაბ ავალიშვილი, ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეები, ექტორ ნოზაძე და სხვები.

გვიან ზოგიერთ მათგანს ხსოვნას ქალბატონი თამარი თავისებურ, განუმეორებელ სტრიქონებს მიუძღვნის „ვა-

დანტულ საფლავების“ სათაურს ქვეშ გამოცემულ წიგნულში, რაც იშვიათი ძეგლია საერთოდ უცნო მიწაში გათხრილ, ღირსეულ ქართველთა საფლავებისათვის. იშვიათი მასალა მომავალ თაობებისათვის.

თამარ პავაემ მწერლობა სულ ადრე, ქალიშვილობის დროს დაიწყო. ის გატაცებულია ქალთა ემანსიპაციის საკითხით და აწერდა ამ დარგში მეტროპოლ, გამოჩენილ მსოფლიო ქალბუნ. გაზეთ „ვიგისი“ მაშინდელ რედაქტორს ფილიპე რაგოზინსკის მისთვის იდეა მიუტყა შეცნაველა და აღუწერა გამოჩენილ ქართველ ქალთა ცხოვრება. ამის შემდეგ თამარმა თავის მისიად გაიხდა ეს საქმე და ვინაიდან სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა, აქ გადმოხწვრილობაში, პირველად 1937 წელს და შემდეგ, ამ ოცი წლის წინდ გამოაქვეყნა საქართველოს სამეოვების და სამთავროების დედოფალთა ისტორია: „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“.

ამ შესანიშნავი ნარკვევებით, თამარ პავაემ იშვიათი სიძლიერით გააჩენა ქართველი ქალების ხასიათის სიმტკიცე და შეუღრეკლობა..

თამარ და აკაკი პავაეები არა მარტო სამავალი-თო ცოლ - ქმარი იყვნენ, არამედ იშვიათად შეწყობილი თანამშრომლებიც, ამ თანამშრომლობის იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენენ მონოგრაფიები: „ქსნის საერისთავო და მისი უკანასკნელი ერისთავები“ და „მარიამ, უკანასკნელი დედოფალი საქართველოსა“.

უკანასკნელ მსოფლიო ომის შემდეგ, სამხრეთ ამერიკაში გადასახლებული ქალბატონი თამარი, თავისი მჭრელი კალმით ახლოს იდგა მსოფლიოს ყველა კუთხეში ვაფანტულ თანამემამულეებთან. ის თითქმის ყველა ქართულ გამოცემებში მონაწილეობდა და მუდამ მისი წერილის თუ წიგნის გამოქვეყნება დიდი სიხარული იყო ქართველ დევნილისათვის.

აქ ამ პატარა წერილში, ჩვენ უძლურნი ვართ მისი ნათელი სახე სრულიად წარმოვიჩინოდ. გარნა სურვილი დიდი გვაქვს და მელიობა უთვალავი.

საუკუნო იყოს კეთილი ხსენება მისი!

გ. ნოზაძე.

† ლევან ზურაბიშვილის გარდაცვალების

მეტი წლისთავი

10 თებერვალს ერთი წელი შესრულდა ლევან ზურაბიშვილის გარდაცვალებიდან. 15 თებერვალს, პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი, რომელსაც დიდძალი ქართველობა და ბევრი უცხოელი მეგობრებიც დაესწრნენ.

პირველი დღეების აფექტური განცდები ამ ხანში მიყუჩდნენ და მით უფრო ნათელი გახდა ლევანის პიროვნების მნიშვნელობა და იმ საქმის განზომილება რომელსაც ის აკეთებდა. ლევანის საქმიანობაზე წარსულში ბევ-



რი რამ ითქვა, უტყველია მომავალშიაც ითქვება. ამ ეპიდ სულ მოკლედ მინდა შევეხო მისი მოღვაწეობის ერთ მხარეს. დევნილობაში ყველა იცის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სასლავარგოთი ეროვნული პოლიტიკის ორი გუნდი ჩამოყალიბდა: „ეროვნული საბჭო“ და „ეროვნული პოლიტიკის ცენტრი“. ლევანი იყო ამ მეორე დაჯგუფების აქტიური და თვალსაჩინო მოღვაწე. ამ ორ დაჯგუფებას შორის არსებული ტაქტიკური ხასიათის განსხვავებები, რაც პირველ ხანებში მწვავე კამათს და აზრთა შესლა-შემოხლას იწვევდა. წლებთან ერთად ეს წინააღმდეგობები თანდათან სუსტდებოდა და ხშირად იზარბებოდა იმედები გაერთიანებისა. სამწუხაროდ, ყველა ეს ცდები აწყდებოდნენ პრაქტიკულ სიძნელებებს. ამ ბოლო წლებში, გაერთიანების საქმიანობა სულ უფრო მწვავედ დასცა ჩვენს შორის. ლევან ზურაბიშვილი შეგნებულად და მტკიცედ გადაწყვეტილებით იღებდა აქეთ-კენ. მხოლოდ შიშობდა, რომ გაერთიანებას ვაძლიერების მაგივრად საქმიანობის დამბლა არ გამოეწვია.

გაერთიანების ზრუნვით იყო წამოწყებული „თავისუფლების ტრიბუნის“ გამოცემაც. მის პირველ ნომერში დაბეჭდილი მოწინავე ლ. ზურაბიშვილის ხელწერით ნათლად შეტყვევებდა ამაზე:

„შექმნილი ვითარებაში, საქიროდ მიგვანია ერთი პერიოდული, საინფორმაციო ბეჭდვითი ორგანოს გამოცემა, რომელიც საშუალებას მიცემს ყველა ქართველ მამულშიველს ურთიერთს დაუკავშირდეს, მიუხედავად პარტიულობისა და აზრთა სხვადასხვაობისა და ამირიად არსებობადეს მყარი ნიადაგი „საერთო ეროვნულ ფრონტში“

რა თქმა უნდა, „მ. ბ.“-ს პრეტენზიები არ ქონებია ამ საერთო ფრონტის ცენტრი გამხდარიყო და სხვები მის ირგვლივ შემოკრებულყვნენ, არამედ იარალი და ერთერთი საშუალება ყოფილიყო ამ პირველი ერთობის.

სამწუხაროდ ამის შემდეგ დღეები 2 დეკემბრად ჩაეარდა და ბოლოს ხელიდან გამოგვეცალა, მისმა სიკვდილმა უტყველად დიდათ შეაფერხა ეს გაერთიანება, რაც არაფრით არ შეიძლება ასე იქნას დატოვებული. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს სახელი და გავლენა ძალიან შემცირდა ამ უკანასკნელ ორთულ წელიწადში. თითო პირთა და მცირე ჯგუფთა საქმიანობით ამ დიდ ხარვეზის ამოვსება შეუძლებელია, მხოლოდ საერთო ძალეებით, ყველა ქვეყნებში ვაფანტულ ქართველების ორგანიული კავშირით შეიძლება იმ სამსახურის გაწევა რასაც სამშობლო ჩვენგან მოითხოვს.

ლევან ზურაბიშვილის გარდაცვალების წლისთავზე მისი სახელით და მისი ხსოვნის პატივსაცემად ვადავდეთ პრაქტიკული ნაბიჯი ამ ეროვნული ერთობის განსახორციელებლად.

გიორგი წერეთელი.

ამა წლის 10 თებერვალს ერთი წელიწადი შემდეგ რაც გარდაიცვალა სამშობლოს ერთგული შეილი ელისე პატარიძე.

მისი დაკარგვით ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა ისეთი ადამიანი, რომლის თელი ცხოვრება და მოქმედება სწორედ იმის მავალითად გამოვლება, თუ როგორ უნდა იყოს უბედურ დღეში მოყვ ქვეყნისათვის თავდადებული პატრიოტი. ელისე პატარიძე ისეთი ადამიანი იყო, რომელსაც თავისი სიციცხლის განმავლობაში, არასოდეს ვარდაუბევევია იმ გზიდან, რომლის აღებაც მას მისმა შეგნებამ დაავალა. ეს გზა, ქვეყნისათვის სამსახური, მისთვის ზრუნვა და უანგარო საყვარული თავგანწირვა იყო.

ელისე პატარიძე თითქმის მებრძოლად ყოფილიყო დაზადებული. იგი თავის მოქმედებაში, ღრმა რწმენით იყო შეიარაღებული და მის გულს უმიმდობა-პესიმიზმი არასდროს ვაკარგებია, იგი დარწმუნებული იყო, რომ თუმცა იმ საქმეს რომელსაც იგი ემსახურებოდა, ვადაუღახავი სიძნელებები წინებდებოდა, მაგრამ ეს საქმე ვითარცა სიმართლე, ბოლოს მაინც გამარჯვება და ამ რწმენით გამხმნეებული სიკედილამდე იმედით სავეს ენთუზიაზმით იწვევდა და მომავალსაც იმედით და მშვიდი რწმუნებით უტკერობდა.

ასეთი იყო ელისე პატარიძე არა მარტო საზოგადო ასპარეზზე, არამედ მის ოჯახურ ცხოვრებაშიც. მას თავისი შვილები მარტო მამობრივ სიყვარულით კი არ უყვარდა, არამედ როგორც საქართველოსათვის მოზარდი ახალგაზრდები, როგორებათაც მან ისინი მართლაც ვაზარდა.

როგორც საქართველოში აგრეთვე ემიგრაციაში ყოფნის დროს, ელისე პატარიძემ საზოგადო საქმის ყველა დარგში მხურვალე მონაწილეობით — ეკლესია, ქართული სათვისტომო, ქართული პრესა, პოლიტიკური მოქმედება და სხვა — დაუფიყარი ღვაწლი გასწია.

კეთილი იყოს ხსენება მისი!

მ ე გ ბ ა რ ი .

† შალვა აბაღშელი

(გარდაცვალებიდან ათი წლისთავი).

შალვა აბაღშელი დაიბადა სოფელ ბენევეში, სულ ახლო საჩხერესთან. მამა მისი ზინობი მღვდელი იყო. წაილავს დედა თებრანე, მამიდა იყო ექიმ ივანე გომარ-თლისა.

შალვა იზრდებოდა კეთილ და ყველასათვის მშვიდობიანობის მსურველ ოჯახში, და ეს თვისებები შალვასაც გამოეყვა. — შალვა ახალგაზრდა ბუნებას იპყრობს გულუნების სილატაყე და ჭიათურის მუშების ძნელ პირო.

ბებში მუშაობა; იმსჯელება მთლიანი სიმპატიით და თავისთვის აძლევს ფიცს შეებრძოლოს ამ მძიმე სოციალურ უსამართლობას.

შალვა წყავლობს ქუთაისის სემინარიაში. იქ ეცნობა რუსულ ადმინისტრაციის შოინიზმს და ქართველებსადმი სიძულვილს. სულ ახალგაზრდა ის ემევე სოციალისტურ მოძრაობაში.

ქიათურაში, სრულიად ახალგაზრდა მონაწილეობას იღებს მუშების გამოსვლაში, „ბუნტ“-ში. გაიცნობს და უსალობდება ზაქარია გურულს, ისიღირე რამიშვილს, მათთან ერთად იღებს მონაწილეობას ქიათურის მუშათა მოძრაობაში. სემინარიაში, ქართველებს აარსებენ არალეგალურ პოლიტიკურ ჯგუფებს და მუშაობას ახალდებენ. მოხდება არეულობა და სემინარია დაიხურება. სერიოზო ჩაეთიხადის დახმარებით შალვა ლებულოს სემინარია ატეტსტრს.

შალვა ამავე ხანებში ეცნობა აკრძალულ ლიტერატურას: ბოვოლუბოვს, ბელინსკის, ჩერნიშევსკის და სხვა. ქუთაისში მოხდება ახლად გაწვეულ ჯარისკაცების დემონსტრაცია. შალვა მიიღებს მასშიაც მონაწილეობას, დაიჭერენ. — გამოძიების შემდეგ შალვას ანთავისუფლებენ და აგზავნიან თავის სოფელში.

შალვა თავის სოფლიდან უბრუნდება ქიათურას, სადაც წირაობებს ვაცხარებულ მოძრაობას, იწყება ვაფიციები. შალვა ყველგან ლებულობს მონაწილეობას.

ცხრასხუთის რევოლუცია დამარცხებულია. იწყება რაქაქია; შაშვილის აღიზანოეი თავისი სასტიკი კახკება. შალვა, გურული გეგბის ყაიდაზე გადაცემული, გადადის თბილისში და იქიდან მიემგზავრება პეტერბურგში, შედის გამოჩენილ პროფესორ ლეზგაფტის ინსტიტუტში. ის ინსტიტუტი იყო ნამდვილი თავისუფლების ტრინუნა, სადაც იყრიდენ თავს მამინდელი გამოჩენილი მწერლები, პუბლიცისტები და პოლიტიკური მოღვაწეები. საუბედუროდ, მესამე ვანყოფილება ვერ ითენს ამისთანა ლიბერალური ინსტიტუტის არსებობას; შეაპარებს შიგ პროვოკატორებს და იარაღს. ვაჩჩრეკავს ინსტიტუტს და აღმოაჩენს მათგანვე შეტანილ იარაღს. დაწესებულება დაიხურება.

შალვა გადადის ფსიქოლოგიურ ინსტიტუტში. ამ დაწესებულების წინამძღოლი იყო ცნობილი სპიქოლოგი ბეხტერევი, და ამ ინსტიტუტში შალვა ლებულობს ფართო მარაგს ვანათლებისას. პარალელურად ის ჩამშულია სტუდენტების ორგანიზაციებში.

საზაფხულიო მუდამ ჩამოდის საქართველოში; არ კარავს კონტაქტს ქიათურის სოციალისტურ ორგანიზაციებთან.

1910 წ. ლევ ტოლსტოის სიკვდილთან დაკავშირებით, რუსეთში ხდება დიდი აღელვება. სტუდენტები აწყობენ გამოსვლებს და თხოულობენ სიკვდილთან დასჯის მოსპობას, ოხრანკა ვაფანტავს მანიფესტაციებს, ამას მოჰყ-

ვება დაქვრები და შალვას იჭერენ როგორც მომწივნი კომიტეტის წევრს და გადაასახლებენ არხანგელსკის გუბერნიაში, ქ. პინევაში. რამოდენიმე ხნის შემდეგ გადასაყავთ ქ. ონევაში, სადაც სიცივე იყო — 60 გრადუსი.

1913 წ. რომანოვების 300 წლის იუბილეის გამო, ყველა ადმინისტრაციულად გადაასახლებულებს ანთავისუფლებენ. შალვა მიუღდება ამ ამნისტიამში და ორ წელს ნახევრას შემდეგ ბრუნდება ისევ პეტერბურგში, სადაც იძულებულია დაუცადოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვას, რომ დიპლომის მისაღებად დაუბრუნდეს თავის ინსტიტუტს. პეტერბურგში, ის უბრუნდება სოციალისტურ მუშაობას, ეხმარება ჩვენს დემუტეტებს ცნობების მიცემაში, მუდმივ კონტაქტშია ჩვენ ქართველ დემუტეტებთან. ნიე რამიშვილი შალვას აძლევს დავალებას, ნებართვის მიღების მოლოდინში, დაბრუნდეს თბილისში და მიიღოს მონაწილეობა პარტიულ ჟურნალის მოწყობაში. თბილისში ეს არ ხერხდება და გადადის ქუთაისში და იქ იწყებს მუშაობას ჟურნალში, სადაც არის ნიე ხომერიკი. იმლე მოხდება რკინისგზის კაფიციები; შალვას ისევ იჭერენ და ასახლებენ ასტრახანში, სადაც მას მოუსწრებს რუსეთის დიდი რევოლუცია.

სამშობლოში დაბრუნებული შალვა ჩაებმევა დიდ მუშაობაში. მთელ საქართველოში არსებდა პროფესიონალური კავშირები. თავმჯდომარე არის სიეთ დედაჩიანი, მდივანდ მთელი კავშირებისა შალვა. სწორედ ამ ხანებში ვაციცანი მე შალვა.

ჩემს თვლიში შალვა იყო ვანსახიერება ღირსეული ადამიანის, მუდამ ზრდილი, თავდაბალი, მშვიდობიანობის მძიებელი, ადამიანის პატივისმცემელი, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა, შალვას დიდ ბუნებას არავითარი ჩირქი არ ეკარებოდა, მისთვის მომუდ გზა შეუძლებელი და მიუღებელი იყო, პირში მთქმელი, კეთილი და ასინოიანი, მაგრამ მაგარი ხასიათის და უშიშარი.

ჩვენი თავისუფლების დროს, შალვა იყო ერთი მთავარი ხელმძღვანელოთავანი საქართველოს პროფესიონალური კავშირებისა. ამ ხელმძღვანელოთა მეთაურობით, ეს მუშათა არმია, ერთსულენათ დადა 26 მაისის დროშის ქვეშ და ყოველმხრივ ხელს უწყობდა ჩვენი დამოუკიდებლობის გამტკიცებას და აღორძინებას. ოკუპაციის შემდეგ შალვა რჩება სამშობლოში და ვანაჭრობას მუშაობას პარტიაში. ის იყო მდივანი იმ დიდი პარტიული ჯრებისა, რომელიც მოხდა 1921 წელში, 10 აპრილს, ოპერის თეატრში და რომელმაც წარუდგინა საოკუპაციო ხელისუფლებას მთელი რივი მოთხოვნისუბებისა. მაშინ, ბოლშევიციები თავს კილევ რევი გრძობდნენ მაგრად და ასეთი რამე შესაძლებელი ვახდა, მაგრამ მოსკოვის ბრძანებით მალე ყველანი დაიჭირეს.

შემდეგ მეტეხი და გადასახლება სახლვარგარედ. იწყება ჩვენი ტრადეცია; ბევრი სულიერი, მორალური და და მატერიალური ვაქიერება თავზე დაგვატყდა, მაგრამ

მდგომარეობა არ ცვლის შალვას ბუნებას და ხასიათს, ის მუდამ, ყველა პირობებში რჩება მუდამ ყითლი და ღირსეული შალვა, თუმცა ტანჯვა იყო სამშობლოს მიწა-წყალთან დამორბედა.

მიეკედღეთ ჩვენს მეორე სამშობლო საფრანგეთს. შალვა არც აქ რჩება გულბელდაკრეფილი, სულ ყველა კულტურულ და პოლიტიკურ ორგანიზაციებში თავდულ-ნოგავად მუშაობს და ზრუნავს ქართველობაზე. სენ-კლუში, მისი პიროვნება იპრობს ყურადღებას და ყველა დიდი სიმპატიით და პატივისცემით ეპყრობა.

შალვა აბღუშელმა, როგორც ლამაზად და რაინდულად იბრძოლა ისე რაინდულად გამოგვემშვიდობა 1966 წლის 11 თებერვალს, 77 წლის იყო. მუდამ ჯანმთელი სულიერად და ფიზიკურად, ორ დღეში, როგორც ელევა ისე გათვდა; ვერ ახილა მისი ქვეყნის ზელახლად განთავისუფლება და არც შვილების ყურებით დატკობა. ასეთი ყოფილა ცხოვრება დაუნდობელი.

ლუბა აბღუშელი.

მწუხარებით ვაუწყებთ

ა/წ. 31 იანვარს, თავის ბინაზე გარდაიცვალა **ადექ-სანდრე მელჰაძე**. 7 თებერვალს დასაფლავებული იქნა ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, პარიზში, საავად-მყოფოში გარდაიცვალა **არჩილ დაიანი**. 7 თებერვალს დასაფლავებული იქნა ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

ა/წ. 21 მარტს, ბუენოს აირესში (არგენტინა), გარდა-იცვალა **თამარ გოგოლაშვილი** - პაპავასი. დროებით და-საფლავებულია ადგილზე, მაგრამ გადმოსვენებული იქ-ნება ლევილის ძმათა სასაფლაოზე, მისი ქმრის აკაკის გვერდით.

ა/წ. 23 აპრილს, ქ. სომურის ჰოსპიტალში გარდაიც-ვალა, საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ოფიცერი, ეს-კადრონის მეთაური **ვ ა ნ ო ვ ა ჩ ნ ა ძ ე**.

ა/წ. 24 აპრილს, უეცრად გარდაიცვალა **ტარიელ უდენტე**. დასაფლავებულია ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

აბონდანის მოხუცთა სახლში, გარდაიცვალა და 7 ამ მისის ადგილობრივ დასაფლავებს **ვედოკია გიორგის ასუ-ლი ორბელიანი** - ივანენკოსი.

25 აპრილს, 80 წლის ასაკში, გარდაიცვალა **მადლენ დიუკროკ** - **გედევანიშვილისა**, 29 აპრილს დასაფლავე-ბული იქნა ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

„თავისუფლების ტრიბუნა“ ღრმად დამწუხრებულ სამ-ძიმარს უტყობდა მათ ოჯახებს, ნათესავებს და ახლო მე-გობრებს.

თავისუფლების ტრიბუნის ანბარიშეპი

31-12-75. სალაროში დარჩა	ფრ. - 882,23
ადიეთ ვაშაძე — ვიქტორ ნოზაძის სულის მემკვიდრე	
სენებლად, გარდაცვალებიდან წლის თავზედ, მივართმევ „თავისუფლე-ბის ტრიბუნას“	300,00
ზეინაზ ზურაბიშვილი — ძვირფას ლევანის კე-თილმოსაგონარად, გარდაცვალების წლისთავზე	200,00
ლუბა აბღუშელი — ძვირფას შალვა აბღუშელის კეთილად მოსახსენებლად, გარდაცვალე-ბიდან ათი წლისთავზე.	150,00
მელიტ. უდენტე . -ს. ჭირაქაძის კეთილმოსაგონარად	100,00
შალვა შავლაყაძე	50,00
პროკოფი ინჭკირველი	100,00
არჩილ მჭედლიშვილი	100,00
ვარლამ ანთელავა	50,00
შარლი ცინცაძე (10 დოლარი)	42,55
კანელი	100,00
დემიტრი მახარაშვილი (70 დოლარი)	307,75
„მ“, „ლ“ (60 მარკა)	100,20
კარლო ინსარიძე	100,00
მიშა გოგორიშვილი	50,00
აკაკი შავგულიძე	100,00
მემედ ჯინჭარაძე	23,20
დემიტრი ბეგიაშვილი	50,00
ნიკო ყურულაშვილი	50,00
ნიკო ბედლაძე	20,00
ვიქტორ ხოშერიკი	100,00
აპოლონ ორაგველიძე	100,00
ენდნე მალოზიშვილი	50,00
იონა გუნია	10,00
ირაკლი მჭედლიშვილი	100,00
ლადო ბაბიშვილი (10 დოლარი)	44,00
ვიქტორ შუბლაძე	100,00
ანონიმი, აახენიდან	100,00
მართა სტურუასი	30,00
ნიკოლოზ ანთაძე	100,00
რ ე ი ზურაბიშვილისა	150,00
მიშა გაფრინდაშვილი	100,00
გრიგოლ ბარამიძე	50,00
კვიროსი ჩხაიძე	50,00
ვასო ლაბაძე	100,00
ანტუან კომპანიონი	100,00
	სულ
	4,109,93
„0. ტ., № 10-ს ხარჯები:	
აწყობის და სტამბის	1,411,98
კონვერტები და საფოსტო ნიშნები	599,00
განცხადება გაზეთ „ფიგაროში“	229,90
	სალაროში დარჩა
	1.870,05